

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: მასწავლებელთა განათლება

**ბარდაბე მარიამი**

ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის  
სახელმძღვანელოების მეთოდური ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებელთა განათლების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კახა გაბუნია,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არ ცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეთნიკური უმცირესობების სოციალიზაციის პროცესი სხვა დანარჩენთან ერთად პირველ რიგში მოიცავს სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობას. რასაც განსაკუთრებული ყურადღება სკოლის ასაკიდან უნდა მიექცეს. ამიტომაც ზოგადი განათლების კანონით სახელმწიფო ენის შესწავლა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სავალდებულოა და საგანი ცნობილია ქართული, როგორც მეორე ენის სახელწოდებით.

ჩვენი ნაშრომის სახელწოდებიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა ეხება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხს საბაზო საფეხურზე სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. რაც გულისხმობს ჩვენს ინტერესს, ყურადღებით გავაანალიზოთ მთელი რიგი ღონისძიებები სწავლებისა.

**თემის აქტუალობა:** საქართველო მუდამ იყო მრავალეთნიკური ქვეყანა და დღემდე ასე გრძელდება. ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საზოგადოებაში კი ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მისიაა. სოციუმში მათი ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ენის ბარიერის დაძლევაა, სახელმძღვანელო კი დიდ როლს თამაშობს ამ საქმის სრულყოფილად წარმართვისათვის.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების სწავლების მეთოდთაში არსებული პრობლემებისა თუ დადებითი მახასიათებლების გამოვლენა და ანალიზი.

**კვლევის საგანს** წარმოადგენს ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების მეთოდური ანალიზი.

**კვლევის ობიექტი** - ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოები;

საკვლევი თემის ჰიპოთეზა - ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებში გამოკვეთილია სხვადასხვა ტიპის პრობლემა, რაც აფერხებს სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობას უკეთესობისაკენ.

**Bardadze Mariami**

**Methodical analysis of the lower secondary education's text-books of Georgian  
as a secondary language**

**Annotation**

One of the gravest challenge of the civil integration is the ignorance of the state language from the side of the national minorities which meaningfully hinders their participation in the economic, political and social affairs of the country. The socialization process of the ethnical minorities, in the first place includes promoting teaching the state language within the other aspects. This should be produced at the age of school years. Thus, learning Georgian language is compulsory in accordance with the general educational law for the nonGeorgian general educational institutions and the subject is known with the name of Georgian as a secondary language.

Depending on the name of our work the present research is concerning the topic of teaching Georgian language as a second language at the lower secondary education based on the text-books. This implies our interest to attentively realize numerous means and measures of teaching.

**Relevance of the topic:** Georgia has always been a multiethnic country and still is. And social integration of the ethnic minorities is the main mission of our country. One of the most important aspects for their integration in the community is to overcome the lingual barrier, and text-book plays a great role in terms of successfully operating the matter.

**The aim of the research** presents to reveal and analyse the existing problems and the positive overalls in the teaching method of Georgian as a secondary language through using the lower secondary education's text-books.

**The subject of the research** is the methodical analysis of the lower secondary education's text-books of Georgian as a secondary language.

**The target of the research** is the lower secondary education's text-books of Georgian as a secondary language.

**The hypothesis of the research subject** - There are many different types of problems manifested in the abovementioned text-books which hinders the implementation of teaching the state language in its best way.

# სარჩევი

შესავალი .....	7
თავი 1. ეთნიკური უმცირესობები და საქართველო - ისტორიული მიმოხილვა .....	9
§1.1. აფხაზები .....	9
§1.2. სომხები .....	11
§1.3. აზერბაიჯანელები.....	13
§1.4. ოსები .....	15
თავი 2. ენობრივი სიტუაცია.....	17
§2.1. სოციოლინგვისტური ასპექტები.....	17
§2.2. ენობრივი კატეგორიები .....	18
თავი 3. საქართველოს სამართლებრივი რეგულაციები.....	20
§ 3.1. ზოგადი მიმოხილვა .....	20
§ 3.2. კანონი განათლების შესახებ .....	22
თავი 4. ქართული, როგორც მეორე ენა.....	26
§4.1. მეორე ენა.....	26
§4.2. საგნის აღწერა.....	27
§4.3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.....	28
§4.4. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.....	29
თავი 5. სტანდარტი და სახელმძღვანელოები.....	31
§5.1. ესგ - სტანდარტი .....	31
§5.2. სახელმძღვანელოების აღწერა .....	34
§5.3. სწავლების 4 მიმართულება: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი.....	36
§5.4. სახელმძღვანელოში გასათვალისწინებელი კულტურული იდენტობის წყაროები .....	43
§5.5. სხვა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ენის ცოდნის დონეს .....	47
კვლევითი ნაწილი .....	49
კითხვარი ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებისთვის.....	51
დასკვნა .....	61
რეკომენდაციები.....	62
გამოყენებული ლიტერატურა:.....	64
დანართი # 1	

## შესავალი

საქართველოში საკითხები განათლების შესახებ რეგულირდება შემდეგი კანონებით:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
3. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით:

1. *„ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.*
2. *სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. (27.12.2006 N4135)“*[<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>]

თანამედროვე საზოგადოებაში ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს პრიორიტეტია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა განათლების მისაღებად.

*„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩოს კონვენციაში, მე-12 და მე-14 მუხლებში აღნიშნულია რომ ქვეყანამ უნდა იზრუნოს ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე და იღებენ ვალდებულებას, აღიარონ, „ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს მისი უმცირესობის ენა“*[<http://police.ge>]

წინამდებარე კვლევის სიახლე გახლავთ ის, რომ საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების ამ ტიპის კვლევა არ ჩატარებულა აქამდე.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების სწავლების მეთოდოლოგიაში არსებული პრობლემებისა თუ დადებითი მახასიათებლების გამოვლენა და ანალიზი.

გამოიკვეთა შესაბამისი **ამოცანები**:

- ✓ მეორადი ინფორმაციის მოძიება - დამუშავება;
- ✓ კვლევის მეთოდების განსაზღვრა;
- ✓ რესპონდენტთა ჯგუფის განსაზღვრა;
- ✓ კვლევის ჩატარება;
- ✓ მიღებული ინფორმაციის ანალიზი;

✓ დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის საგანი** – ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების მეთოდური ანალიზი.

**კვლევის ობიექტი** - ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოები.

**კვლევის მეთოდები:** თვისებრივი კვლევა:

- ❖ დოკუმენტაციის ანალიზი (სამაგიდე კვლევა);
- ❖ საბაზო საფეხურის პედაგოგების გამოკითხვა.

**კვლევის სამიზნე ჯგუფი:** საბაზო საფეხურის პედაგოგები

**ჰიპოთეზა:** ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებში გამოკვეთილია სხვადასხვა ტიპის პრობლემა, რაც აფერხებს სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობას უკეთესობისაკენ.



# თავი 1. ეთნიკური უმცირესობები და საქართველო - ისტორიული მიმოხილვა

საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა. ქვეყნის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან აქტიურად მიმდინარეობდა მიგრაციული პროცესები, აქ მოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. დროთა განმავლობაში მიგრანტთა ზოგიერთი ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობაში აირია, ზოგმა კი შეძლო თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ეთნიკური ჯგუფების გადაადგილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივ მოსახლეობაზეც, რადგან ხდება ახალი ეთნოკულტურული მახასიათებლების შემოტანა და ზოგჯერ ირევა ადგილობრივ კულტურაში.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წლიდან, სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემა აქტუალური გახდა. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი კონფლიქტის ფონზე საქართველომ შეძლო და მშვიდობა შეინარჩუნა სხვა უმცირესობების წარმომადგენლებთან.

1990–იანი წლები გამოირჩევა ეთნიკური უმცირესობების ემიგრაციით, ამის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს: საქართველოს ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკა, ცხოვრების დონის გაუარესება, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის შეუძლებლობა, მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება, მშობლიური ენისა და კულტურის განვითარების შეუძლებლობა, უმუშევრობა. სწორედ ამიტომ, ეთნიკური მოსახლეობა, რომელიც 1989 წლის მონაცემებით 30%-ს შეადგენდა, შემცირდა და 2002 წლისთვის 16%-ს მიაღწია (ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი; 2008).

## §1.1. აფხაზები

1989 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა 95,9 ათასი აფხაზი. 2003 წელს აფხაზეთში ჩატარებული აღწერის მიხედვით, აფხაზთა რაოდენობა 94,5 ათასს უდრის (გ.ანჩაბაძე; 2008).

*„ქართულ–აფხაზურ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. საუკუნეების განმავლობაში ამ ხალხებს შორის მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობა სუფევდა. ქართულ*

კლასიკურ ლიტერატურაში (XIX-XX საუკუნეების დასაწყისი) აფხაზი მიჩნეულია გმირობის, ვაჟკაცობის, ერთგულების განსახიერებად, მაგრამ საბჭოთა პერიოდში ამ ურთიერთობების რღვევა დაიწყო. ვითარება აფხაზეთში განსაკუთრებით დაიძაბა 1940-იანი წლებიდან. ამის ძირითადი მიზეზი იყო კომუნისტების მანკიერი საშინაო პოლიტიკა (საკადრო, დემოგრაფიული, სასკოლო და ა.შ.), თუმცა ეთნიკურ დაპირისპირებას, როგორც ჩანს, ზოგჯერ სპეციალურადაც აღვივებდნენ საბჭოთა ცენტრის გარკვეული სამსახურები, რათა აფხაზეთი და მთლიანად საქართველო უფრო ძლიერი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ. აფხაზთა გამოსვლები სხვადასხვა მოთხოვნებით, პერიოდულად, მასობრივ ხასიათს იძენდა (1956, 1967, 1978 წ.წ.). ამ მოთხოვნებში ზოგჯერ ჟღერდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის ლოზუნგიც, რაც ქართველთა საპროტესტო აქციებს იწვევდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოფით დონეზე ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში არ მიუღია ეთნიკური ანტაგონიზმის ხასიათი, რასაც მოწმობს თუნდაც შერეული ქორწინებების სიმრავლე.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ძალიან დაიძაბა 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ხელისუფლების კრიზისის პერიოდში, როდესაც საქართველოსა და აფხაზეთში ჩამოყალიბდნენ და გავლენა მოიპოვეს ეროვნულმა მოძრაობებმა. ნაციონალისტური მიმართულებების ორგანიზაციათა აქციები და მოთხოვნები, როგორც წესი, რადიკალურ ხასიათს ატარებდნენ. პოლიტიკურმა კონფლიქტმა მალე ეთნიკური დაპირისპირების ფორმა მიიღო და 1992-1993 წლების ომში გადაიზარდა, რომელსაც ათასობით ადამიანი ემსხვერპლა. აფხაზეთის დატოვება მოუხდა მისი ქართული მოსახლეობის ( 245 ათასი ადამიანი) დიდ ნაწილსაც “[გ.ანჩაბაძე, 2008:63, 64].

აფხაზეთიდან დევნილთა დიდი ნაწილი საუბრობს როგორც რუსულად, ასევე ქართულად, რადგან დევნილთა უმრავლესობა ქართველია, ამიტომ მათ რეალურად არ შექმნიათ პრობლემა სახელმწიფო ენის გაგებასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

## §1.2. სომხები

დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს მმართველობა არათუ უპირისპირდებოდა სომეხ ემიგრანტებს, არამედ ქმნიდა პირობებს, რათა სომეხ და ქართველ მოსახლეობას შორის მშვიდობიანი ურთიერთობა ყოფილიყო. ჯერ კიდევ ერეკლე მეორე და გიორგი XII აწესებდნენ მათთვის შეღავათებს, სწორედ ამიტომ ჰქონდა უმნიშვნელო მასშტაბები უკუმიგრაციას. ერეკლე მეფემ 1780 წელს ერევნიდან, 1787 წელს კი ყარაბაღიდან 7000-ზე მეტი ადამიანი შემოიყვანა, რადგან სომხური კაპიტალის იმედი ჰქონდა. XVIII საუკუნეში ირანელებისგან შეწუხებული სომხების ოჯახები დასახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო საქართველოში რუსეთის ბატონობის დროს სომხური მოსახლეობის გაზრდა მოხდა ახალი მიგრაციების ხარჯზე. თურქეთიდანაც მიმდინარეობდა სომხური მიგრაცია საქართველოში XIX საუკუნეში (ეთნოსები საქართველოში; 2008).

საქართველოში მცხოვრები სომხების კულტურაზე გავლენა იქონია ქართულმა კულტურამ, ეს იგრძნობა როგორც საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაზე, ასევე სამუშაო იარაღებსა და სადღესასწაულო ციკლში, სამოსში და სხვა.

*„დღესდღეობით სომხები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ცხოვრობენ, როგორც დისპერსულად, ისე კომპაქტურად. მათი კომპაქტური დასახლებებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია სამცხე-ჯავახეთი.*

*1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი მოსახლეობის დეპორტაციამ ამ მხარის ცალკეულ რაიონებში ხელი შეუწყო რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მაჩვენებლის გაზრდას. მაგალითად, თუ ახალციხის რაიონში 1926 წელს სომხები მოსახლეობის 30.5%-ს შეადგენდნენ, 1959 წელს ეს მაჩვენებელი 51.1%-მდე გაიზარდა. 1926 წელს მთლიანად სამცხე-ჯავახეთში სომხები მოსახლეობის 41.8%-ს შეადგენდნენ, 1956 წელს ეს მაჩვენებელი 64.5% იყო. მათ შორის: სამცხეში 1926 წელს – 15.1%, 1959 წელს კი – 36.2%. ჯავახეთში კი იმავე წლებში ეს მაჩვენებელი 79.7%-დან 88.7%-მდე გაიზარდა.*

*1959 წელს საქართველოში 442.9 სომეხი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 11%-ს შეადგენდა, 1979 წელს – 448.0(9%), 1989 წელს კი 437.2(8.1%). 1989 წლის*

მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სომხები უმრავლესობას შეადგენდნენ ქ.გაგრაში, ახალქალაქისა და ნინოწმინდას რაიონებში. ქ.გაგრაში სომხები მთელი მოსახლეობის 29.6%-ს შეადგენდნენ. ახალქალაქისა და ნინოწმინდას რაიონებში კი ისინი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ: ახალქალაქის რაიონში სომხები იყო მთლიანი მოსახლეობის 91.3%, ნინოწმინდას რაიონში კი – 89.6%.

რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სომხები თბილისში ცხოვრობდა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, თბილისის მკვიდრი იყო 150138 სომხები, რაც დედაქალაქის მთლიანი მოსახლეობის 12%-ს შეადგენდა...

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, მიგრაციული პროცესების შედეგად, სომხური მოსახლეობის რაოდენობა 248929-მდე შემცირდა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 5.7%-ს შეადგენს. დღეისათვის სომხები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ახალქალაქის (57516 სული, 94.3%), ნინოწმინდას (32857 სული, 96%) და წალკის რაიონებში (11484 სული, 55%)“ [მ.კომახია, 2008:123].

1990-იან წლებში საქართველოში შემცირდა სომხური მოსახლეობის რაოდენობა, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ პროცესებით. სომხური მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, შევიწროების თავიდან აცილების მიზნით, გვარი შეიცვალა და ქართული გვარი მიიღო. ამ წლებში ჯავახეთი გახდა რეგიონი, სადაც სომხები იყვნენ კომპაქტურად დასახლებულნი, აქ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეთნიკური ნიშნით შექმნილი ორგანიზაციები.

„ჯავახეთში მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. რუსულმა კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, 1990-იან წლებში მნიშვნელოვნად დაკარგა საკომუნიკაციო ენის ფუნქცია. საბჭოთა მემკვიდრეობისა და განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული ხარვეზების გამო ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ სომხურად ან რუსულად საუბრობს. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ენის შესწავლის საკითხი ინტეგრაციის პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან, ამ მხრივ, გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული და არაეფექტიანი აღმოჩნდა. არაქართული წარმოშობის მოსახლეობისთვის ქართული ენის სასწავლებლად განათლების სისტემაში ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები კი მხოლოდ

წლების შემდეგ გამოიღებს დადებით შედეგებს. ჯავახეთის სომხური მოსახლეობისაგან განსხვავებით, თბილისში მცხოვრებმა სომხებმა მეტ-ნაკლებად იციან სახელმწიფო ენა, რაც განპირობებულია იმით, რომ თბილისში სომხებს ყოველდღიურ, ყოფით თუ პროფესიულ დონეზე ურთიერთობა უწევთ ქართულენოვან მოსახლეობასთან.

სომხური მოსახლეობის მიერ ქართული ენის არასათანადო ცოდნა უმაღლესი განათლების მიღების მსურველებში ემიგრაციის გამომწვევი ფაქტორია. ისინი, ვინც მხოლოდ სომხური ენა იციან, უმაღლესი განათლების მისაღებად სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიდიან, რუსული ენის მცოდნეები კი უპირატესობას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს ანიჭებენ, რადგან რუსეთში სწავლის პარალელურად სამსახურის შოვნის პერსპექტივასაც ხედავენ, რაც მათ, საქართველოში დარჩენილი ოჯახებისთვის, ფინანსური დახმარების საშუალებასაც მისცემს.

სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო სომხური და რუსული ტელეარხებია. რეგიონში ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონული ტელეკომპანია და სომხეთის, რუსეთისა და საქართველოს რამდენიმე არხის რეტრანსლირება ხდება... საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სომხურენოვანი სკოლები, კულტურული ცენტრები და საკვირაო სკოლები. უკვე საუკუნეზე მეტია, რაც თბილისში სომხური კულტურის კერას წარმოადგენს პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრი.“ [მ. კომახია, 2008:126, 127].

### **§1.3. აზერბაიჯანელები**

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების განსახლების ორი ტიპია: დისპერსული და კომპაქტური. კომპაქტური დასახლებები ძირითადად ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთშია, სადაც ძირითადად აზერბაიჯანელები და სომხები ცხოვრობენ. აზერბაიჯანელები ქვემო ქართლის მოსახლეობის 45%-ს შეადგენენ, მარნეულში - 83.1%-ს, დმანისში - 66.7%-ს, ბოლნისში - 66%-ს, გარდაბანში - 43.7%-ს (ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი; 2008).

„ქვემო ქართლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. რუსულმა კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, 1990–იან წლებში, მნიშვნელოვნად დაკარგა საკომუნიკაციო ენის ფუნქცია. განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული ხარვეზების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ აზერბაიჯანულად საუბრობს და სხვა ეთნოსების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის არათუ ქართულს, უკვე რუსულ ენასაც ვეღარ იყენებს. 1990–იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ენის შესწავლის საკითხი ინტეგრაციის პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან საამისოდ გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული და არაეფექტიანი აღმოჩნდა. ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით, განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმები კი მხოლოდ წლების შემდეგ გამოიღებს დადებით შედეგს. ქართული ენის არცოდნის გამო აზერბაიჯანელები, რომლებსაც უმაღლესი განათლების მიღება სურთ, ძირითადად, აზერბაიჯანში მიდიან სასწავლებლად და სწავლის დამთავრების შემდეგაც, უკეთესი მომავლისა და სამსახურის მოძებნის იმედით, მათი ნაწილი სამუდამოდ რჩება აზერბაიჯანში საცხოვრებლად.

სახელმწიფო ენის არცოდნის გამო მოსახლეობისათვის მიუწვდომელია ქართულენოვანი საინფორმაციო საშუალებები... რის გამოც ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები უფრო უცხოურ (ძირითადად აზერბაიჯანულ, თურქულ, რუსულ) მედიასაშუალებებზე არიან ორიენტირებულნი. საქართველოში სუსტად არის განვითარებული აზერბაიჯანულენოვანი მედია. ქვემო ქართლში არსებულ ტელევიზიათა გადაცემები მცირე არეალზე ვრცელდება და თანაც შეფერხებებით. სუსტად არის განვითარებული აზერბაიჯანულენოვანი ბეჭდვითი მედიაც... ხშირად ქვემო ქართლის მოსახლეობა უკეთ არის ინფორმირებული აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესების შესახებ, ვიდრე საქართველოში არსებული ვითარების თაობაზე.

აზერბაიჯანელთა თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანულენოვანი სკოლები, აზერბაიჯანული კულტურის სახლი, ფოლკლორული ანსამბლები, აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების მირზა ფათალი ახუნდოვის, ნარიმან

ნარიმანოვის, *ჯალილ მამედყულიზადეს სახლ-მუზეუმები. ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აზერბაიჯანელთა კულტურული ცხოვრების განვითარებაზე ზრუნავენ. თბილისში მოქმედებს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი და თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრი.* “[მ. კომახია, 2008:146, 148]

#### **§1.4. ოსები**

*„ოსთა ჯგუფი, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის მათი რიცხვი მთელი ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 164 ათასს და რაოდენობრივად სომხებსმრუსებსა და აზერბაიჯანელებს ჩამორჩებოდა. საქართველოში ოსების რაოდენობის შემცირებაზე გავლენა მოახდინა 1990-იანი წლების დამდეგს სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განვითარებულმა კონფლიქტმა...*

*საქართველოში მცხოვრებ ოსთა ძირითადი რაოდენობა ცხოვრობს აღმოსავლეთ საქართველოში, უმეტესად შიდა და ზემო ქართლში, ნაწილობრივ-კახეთში (კერძოდ, პანკისის ხეობაში). ოსები კომპაქტურად არიან დასახლებულნი დასავლეთ საქართველოს სამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში-კუდაროში, ზემო იმერეთსა და ზემო რაჭაში“ [ნ. ბეჰეჰიევი, გ. ჩიქოვანი, 2008:73, 74].*

ოსური მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცის ქართული და მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს სახელმწიფო ენაზე მეტყველება.

ზემოჩამოთვლილ ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად საქართველოში ასევე ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ხალხიც, რომლებიც მთელი მოსახლეობის 3% შეადგენენ. ესენი არიან რუსები, იეზიდები, უკრაინელები, ბერძნები და ა.შ.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგად ასე გამოიყურება 10 ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნება:

ეროვნებები	სულ (ათასიკაცი)	პროცენტულიგანაწილება
<b>სულმოსახლეობა</b>	<b>3 713,8</b>	<b>100,0</b>
ქართველი	3 224,6	86,8
აზერბაიჯანელი	233,0	6,3
სომეხი	168,1	4,5
რუსი	26,5	0,7
ოსი	14,4	0,4
იეზიდი	12,2	0,3
უკრაინელი	6,0	0,2
ქისტი	5,7	0,2
ბერძენი	5,5	0,1
ასირიელი	2,4	0,1
სხვა	14,3	0,4
უარიპასუხზე	0,6	0,0
ეროვნება მითითებული არ არის	0,5	0,0

*1.1. 2014 წლის საქტსტატის აღწერის მონაცემები*



## თავი 2. ენობრივი სიტუაცია

### §2.1. სოციოლინგვისტური ასპექტები

ენას, ისევე, როგორც ნებისმიერ მოვლენას, ორგვარი რაობა მოეპოვება, ორი ასპექტით განიხილება: ერთია მისი შინაგანი, იმანენტური რაობა, შეპირობებული მისი ფორმოებრივი და სემანტიკური სისტემებითა და სტრუქტურებით; ამ სტრუქტურათა მათსავე დინამიკაში გამოვლენა, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებათა გარკვევა, მათი ცვლილებებისა და განვითარების კანონზომიერებათა დადგენა არის საკუთრივ ლინგვისტიკის ამოცანა. მეორეა ენის დანიშნულებითი, პრაგმატული მხარე. ენის ამ დანიშნულებითი ასპექტის განსაზღვრა, ენის გამოყენებითი ფუნქციის შესწავლა, ენის საზოგადოებრივი ღირებულების გარკვევა, ენის სოციალურ, საზოგადოებრივ პროცესებთან მიმართების, მასზე ამ პროცესების ზეგავლენისა და მის მიერ ამ პროცესების ასახვის კვლევა, ანუ, ზოგადად, ენის ჩამოყალიბების, არსებობისა და განვითარების სოციალური შეპირობებულობის შესწავლა აქვს მიზნად სოციოლინგვისტიკას (ჯორბენაძე ბ., 1989).

ტერმინი „ენობრივი სიტუაცია“ აღნიშნავს ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე და მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა: რამდენი ენა და რომელი ენები (დიალექტები) გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ადამიანი ლაპარაკობს მათზე, რა ვითარებაში, რა განწყობები და დამოკიდებულებები აქვთ მოცემული საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ“ (ფერგიუსონი, 1971, გვ. 157).

ხშირად გამოიყენება ტერმინი „ენობრივი პოლიტიკა“, ეს ოფიციალური ქმედებაა, რომელიც ცდილობს, ჩაერიოს ნებისმიერი ტიპის ენის (სახელმწიფო, რეგიონალური, უმცირესობათა, უცხო და ა.შ.) ფუნქციონირების სფეროში (მაგალითად, წერის სისტემა, ოფიციალური ენის არჩევა და ა.შ.) ან განათლების სისტემაში ამ ენების ადგილის საკითხებში. მოქალაქეებმა ან მოქალაქეთა ჯგუფებმა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით გაატარონ ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე ან კერძო სექტორში. ენებზე ზემოქმედებას ადგილი აქვს კონკრეტული სოციალური სიტუაციების ან მოვლენათა კონტექსტში, რომელთაც ის მიეკუთვნება. თუმცა ასეთი ენობრივი პოლიტიკა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (ეკონომიკა და ეფექტურობა, ეროვნული იდენტურობა,

დემოკრატია და ა. შ.) ენობრივი პოლიტიკა რიგი კომპონენტებით შემოიფარგლება (ერის კონცეფცია, განათლების მიზნები და მისთ.), მოქმედი პირებისაგან (პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, პარტიული აქტივისტები, პროფკავშირის წევრები და მისთ.) და ჩარევის დონისაგან (საკანონმდებლო, მარეგულირებელი და მისთ.). ენისა და ენის სწავლების საკითხების პოლიტიკური ბუნების აღიარება არის ამ სფეროში ნებისმიერი ქმედების წინაპირობა, რადგანაც ტექნიკური სირთულეები (სტრუქტურული, ადმინისტრაციული, ფინანსური და მისთ.), რომლებიც მთავრობებმა ინდივიდუალურად ან ერთობლივი მოქმედებით უნდა დაძლიონ, ვერ გადაილახება, სანამ საკითხები ამ პრინციპებთან დაკავშირებით არ დაზუსტდება. ენა თამაშობს საკვანძო როლს ამა თუ იმ სოციალური ან რეგიონულეთნიკური ერთობის კუთვნილების განსაზღვრაში. მშობლიური ენის ღირებულების გრძნობა არის ფუნდამენტური შემადგენელი იმ ადგილის გააზრებისა, რომელიც ადამიანს უკავია საზოგადოებაში. რადგანაც ენები წარმოადგენს ჯგუფური კუთვნილების თვალსაჩინო ნიშანს, ისინი შეიძლება ადვილად გადაიქცნენ ამ ჯგუფის სიმბოლოდ. ენა შეიძლება იყოს ინდივიდისა ან ჯგუფისთვის ის ფასეული რესურსი, რომელსაც სჭირდება გაფრთხილება და შენახვა, რაც თავის ასახვას ჰპოვებს ამ ენის მიმართ დამოკიდებულებაში (რიაგენი, ლუდი, 2008, გვ. 29).

## **§2.2. ენობრივი კატეგორიები**

ლინგვისტური ტერმინოლოგიის გათვალისწინებით, გამოიყოფა რამდენიმე განსხვავებული ენობრივი კატეგორია:

- 1. „პირველი ენა მშობლიური ენაა. ეს არის ენა, რომელსაც ადამიანი ბუნებრივად, უმთავრესად ოჯახში, მშობლების გარემოცვაში, ყოველგვარი ინსტრუქციების გარეშე ითვისებს. მშობლიური ენა შეიძლება იყოს ორი. ბავშვი, როგორც წესი, მშობლიურ ენას ადრეულ ასაკში ეუფლება.*
- 2. მეორე ენა არის სხვა ნებისმიერი ენა, რომელსაც ადამიანი სწავლობს პირველი ანუ მშობლიური ენის შემდეგ. თუმცა, მახვილი გადატანილია გეოგრაფიული და სოციალური გარემოს მნიშვნელობაზე; ანუ ეს ენა შეისწავლება იმ*

გარემოში, რომელშიც ამ ენაზე საუბრობენ. ეს არ არის ე.წ. უცხო ენა, მაგ. იაპონიაში „უცხო ენა“ არის ესპანური.

3. **უცხო ენა** ეწოდება იმ ენას, რომლის გამოყენებაც არ ცდება მინიმუმ საკლასო ოთახის ფარგლებს. ამ ენის სიღრმისეული შესწავლა, ისევე, როგორც უცხო ენისა, გაძნელებულია. მნელია, ისე ისწავლო უცხო ენა, როგორც მშობლიური, (თუმცა, ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ზოგჯერ უცხო ენას და მეორე ენას ერთნაირი მნიშვნელობით იყენებენ, რაც არ არის გამართლებული).
4. **ეროვნული (ნაციონალური) ენა** - ენა, რომელიც უკავშირდება უშუალოდ ნაციონალურ, ეროვნულ კულტურას. მაგ. უნგრეთში-უნგრული ენა, საქართველოში-ქართული, ესპანური ენა - კოსტა-რიკაში და ა.შ. შესაძლებელია, ქვეყანაში იყოს ერთზე მეტი ეროვნული ენა, მაგ. კანადა, სადაც ფრანგული და ინგლისური ენებია მიჩნეული ეროვნულ ენებად. შვეიცარია - სადაც ოთხი სახელმწიფო ენაა: გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტრო გერმანული“ [მ.ხარშილაძე,2010:3].

## თავი 3. საქართველოს სამართლებრივი რეგულაციები

### § 3.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში არ არსებობდა კანონი, რომელიც ენობრივ პოლიტიკას დაარეგულირებდა, ეს საკითხი სხვადასხვა კანონში იყო გაფანტული. 2001 წელს იყო მცდელობა ცალკე კანონის შექმნისა, რომელიც დაარეგულირებდა ენობრივ პოლიტიკას, მაშინ ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. 2015 წელს კი პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონი. შიდა კანონმდებლობის გარდა, არსებობს საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც არეგულირებენ ენობრივ საკითხებს. საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება „რომ მოახდენს 1992 წლის უმცირესობათა და რეგიონული ენების ქართვის რატიფიცირებას „ [შ.ტაბატაძე,2008:16].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ენობრივ პოლიტიკას ორი მიმართულება აქვს: 1. ეთნიკურ უმცირესობათა ენის დაცვა და 2. სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერება. სწორედ ამ ორი მიმართულებით მიმოვიხილავ საქართველოს კანონმდებლობებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ენა არის ქართული.

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ენაზე და თუ პირმა არ იცის სახელმწიფო ენა, მას მიეჩინება თარჯიმანი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებების სამუშაო ენაა ქართული.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის სამუშაო ენა ქართულია.

საჯარო სამსახურის კანონის მეთორმეტე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახური ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. დასამუშავალი ვალდებულია ფლობდეს სახელმწიფო ენას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა ამ მიზეზით გათავისუფლდეს სამსახურიდან.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, პირი, რომელიც აირჩევა საქართველოს პარლამენტში, უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას.

საარჩევნო კოდექსის 27-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად, ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამუშაო ენაა ქართული.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული.

„გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიულ ობიექტთა სახელთა მინიჭება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე.

„მოქალაქეობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს შეიტანოს განაცხადი საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს : 1) მუდმივად ცხოვრობს საქართველოში ბოლო 10 წლის მანძილზე; 2) ფლობს სახელმწიფო ენას სტანდარტის შესაბამის დონეზე; 3) იცნობს საქართველოს ისტორიას და კანონმდებლობას ; 4) დასაქმებულია საქართველოში ან ფლობს უძრავ ქონებას.

„რეკლამის შესახებ“ კანონის 4.2 მუხლის თანახმად, რეკლამა საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება ქართულად.

კონსტიტუციის 38-ე მუხლით, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, დისკრიმინაციისა და შეზღუდვის გარეშე განავითაროს თავისი კულტურა, გამოიყენოს მშობლიური ენა პირად ცხოვრებაში.

### § 3.2. კანონი განათლების შესახებ

განათლების სფეროში ენობრივი საკითხის ერთ-ერთი მარეგულირებელი დოკუმენტია კანონი ზოგადი განათლების შესახებ. აღნიშნული კანონის მეოთხე მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო სწავლების ენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არის ქართული. ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად: „საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვის ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალდებულოა ქართული ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში- აფხაზურის და ქართულის.

საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, შესაძლებელია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა მიმდინარეობდეს უცხოურ ენაზე, თუმცა ამ შემთხვევაში სავალდებულოა, რომ იმავე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო ენაც ისწავლებოდეს.

1. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება რვა საგნობრივ ჯგუფში:

- ა) სახელმწიფო ენა;
- ბ) მათემატიკა;
- გ) უცხოური ენები;
- დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები;
- ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ვ) ტექნოლოგიები;
- ზ) ესთეტიკური აღზრდა;
- თ) სპორტი.

საგნობრივი ჯგუფები, საგნობრივი კომპეტენციების მიხედვით, მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს. საგნობრივი ჯგუფები აერთიანებს მომიჯნავე დისციპლინებს [ესგ].

ასეა გაერთიანებული სახელმწიფო ენის ჯგუფში ქართული ენა და ლიტერატურა, აფხაზური ენა და ლიტერატურა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქართული, როგორც მეორე ენა.

იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება მიმდინარეობს არასახელმწიფო ენაზე, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები უნდა ისწავლებოდეს ქართულად.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-7 და მე-9 მუხლების თანახმად, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა გარანტირებულია ყველასთვის. მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ყველა მოსწავლემ ზოგადი განათლება მიიღოს საცხოვრებელ სახლთან ახლოს. თუ აღნიშნულის განხორციელება სტანდარტული ვაუჩერის მეშვეობით შეუძლებელია, სახელმწიფო მოსწავლეს უზრუნველყოფს გაზრდილი ვაუჩერით ან სხვა დაფინანსებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში.

ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დაწყებითი და საბაზო განათლება. *„ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა“.*

[<http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/21/7468109657kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>]

ზოგადი განათლების შესახებ კანონი ყველა მოსწავლეს იცავს ძალადობისგან და მშობლიურ ენაზე აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს. კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში წერია: *„დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე*

ისეთი ღონისძიების გატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისკენ“.

[<http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/21/7468109657kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>]

იმავე მუხლის მე-6 პუნქტი: „სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“.

[<http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/21/7468109657kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>]

მე-7 პუნქტი: „სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება.“

[<http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2015/7/21/7468109657kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>]

„ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულების“ თანახმად, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 22 მაისის #452 ბრძანებით არის დამტკიცებული, მოსწავლეს განათლების დაძლევა ექსტერნის ფორმით შეუძლია ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

მოსწავლეები, რომლებიც აბარებენ ექსტერნის გამოცდებს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე, აბარებენ ასევე გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაშიც, არსებული პროგრამის მიხედვით. მოსწავლეებს, რომლებიც აბარებენ ექსტერნის გამოცდებს რუსულ ენაზე, არ შეუძლიათ ჩააბარონ რუსული, როგორც უცხო ენა.

„ეროვნულ უმცირესობებს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ დააფუძნონ საგანმანათლებლო დაწესებულებები კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, რისთვისაც მათ უნდა მოიპოვონ ზოგადი, უმაღლესი, დაწყებითი ან/და



საშუალო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. [შ.ტაბატაძე,2008:28]

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების მსურველმა აბიტურიენტებმა, უნდა ჩააბარონ გამოცდა შენდევ საგნებში : ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა(ინგლისური, რუსული, ფრანგული, რუსული), ზოგადი უნარები და შეუძლიათ ასევე აირჩიონ კიდევ ერთი ან ორი საგანი დამატებით, რომელსაც ჩააბარებენ (მათემატიკა, ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნები). აბიტურიენტებს შეუძლიათ ზოგადი უნარები ჩააბარონ ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. მათემატიკა, საქართველოს ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ფიზიკა,ქიმია, ბიოლოგია) ან საზოგადოებრივი მეცნიერებები კი ქართულ ან რუსულ ენებზე, რის შესახებაც წინასწარ უნდა მიუთითონ რეგისტრაციის დროს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი).

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს უმაღლეს დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, დაშვებულია ასევე სხვა ენაზე სწავლებაც, გარდა ინდივიდუალური კურსებისა, თუ ეს არის შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

## თავი 4. ქართული, როგორც მეორე ენა

### §4.1. მეორე ენა

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ, მე-4 მუხლში ვკითხულობთ:

*„საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა.“*

შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ნებადართულია თავიანთ მშობლიურ ენაზე მიიღონ სრული ზოგადი განათლება და იმავდროულად, სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება. მათთვის კი სახელმწიფო ენა , ანუ ქართული არის მეორე ენა, შესაბამისად, მისი სწავლების სპეციფიკა, მეთოდიკაც განსხვავებულია ქართულის ქართველებისათვის სწავლებისაგან.

თავად ტერმინი - მეორე ენის დაუფლება - უკავშირდება სტეფან კრაშენის სახელს, რომელმაც ერთმანეთს დაუპირისპირა ენის ფორმალური და არაკონსტრუქტიული სწავლება.

ხშირად მეორე ენას და უცხო ენას ერთმანეთთან აიგივებენ ხოლმე, მაგრამ მათი შინაარსი აბსოლუტურად სხვადასხვაა, შესაბამისად განსხვავებულია მათი სწავლების მეთოდოლოგიაც.

მეორე ენასა და უცხო ენას შორის არსებითი განმასხვავებელია ის, რომ მეორე ენას შემსწავლელი ეუფლება და შეითვისებს, უცხო ენას კი სწავლობთ, როგორც საგანს, ამიტომაც არის მეთოდიკური მიდგომები და სწავლების სტრატეგიები განსხვავებული. (კ. გაბუნია; 2010 )

მეორე ენის სწავლების პროცესში ბუნებრივად ერთვება იმ მკვიდრი ენის საზოგადოების კულტუროლოგიური და ეთნოლოგიური ასპექტები, რომლის წევრადაც გვსურს ჩამოყალიბდეს ენის შემსწავლელი. ამიტომ სახელმწიფო ენის სწავლების სტრატეგია ეთნიკური უმცირესობებისათვის არის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება და არა როგორც უცხო ენის. (კ. გაბუნია; 2010).

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სხვა საგნებთან ერთად, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული, ისწავლება ასევე საგანი - ქართული, როგორც მეორე ენა. რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლებისათვის სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება და ეს პროცესი ხორციელდება აღნიშნული საგნის სწავლებით, რომელში 12 დონე გამოიყოფა. ამის შესახებ დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებთ.

## **§4.2. საგნის აღწერა**

ქართული, როგორც მეორე ენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანია, რომელიც ისწავლება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლებიც არაქართულენოვანებია. ეს საგანი არის სავალდებულო და მისი სწავლება ხორციელდება 1-ლი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით.

ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები თორმეტი დონისაგან შედგება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სკოლა 12-კლასიანია და ამიტომაც თორმეტი დონე, დიახ, ესეც არის, თუმცა არ არის სავალდებულო, რომ, მაგალითად, მე-8 კლასში მაინცაღამაინც მე-8 დონის სახელმძღვანელოთი ისწავლებოდეს. აქ მნიშვნელოვანია რამდენად დამლევადია მოსწავლისათვის თითოეული დონის სახელმძღვანელოს პროგრამა. ამის გათვალისწინებით, შესაძლოა მე-8 კლასში მე-6 დონის სახელმძღვანელოთი ასწავლიდეს პედაგოგი და არის კიდევ ამის პრაქტიკული მაგალითებიც.

მართალია ჩვენი ნაშრომი ეხება საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებს და ძირითადი ორიენტირი მათზე გვაქვს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო ერთ-ერთია იმ უამრავი ფაქტორიდან, რომლებიც სახელმწიფო ენის ცოდნის დონეს განსაზღვრავს. არანაკლებ, მეტად თუ არა, მნიშვნელოვანი როლი აკისრია პედაგოგს, რომელიც ასწავლის, გარემოს, რომლის წევრებიც არიან ჩვენი ეთნიკური უმცირესობები, სოციალურ მდგომარეობას, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასა თუ სხვა ფაქტორებს.

ბოლო რამდენიმე წელია ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობის მიზნით, რათა აითვისონ მაქსიმალურად კარგად სახელმწიფო ენა და შემდეგ დასაქმდნენ საჯარო დაწესებულებებში.

ამ პერიოდის განმავლობაში მრავალი პრობლემა გამოიკვეთა. სახელმძღვანელოებისა თუ პედაგოგების კვალიფიციურობის საკითხი. ამიტომ ამ პრობლემებზე კვლავ ხორციელდება სამუშაო პროცესები. ადგილობრივ პედაგოგებს გამოცდილებას უზიარებენ ჩასული მასწავლებლები, იხვეწება სახელმძღვანელოებიც. ახალი სასწავლო წლიდან დაწყებითი კლასების ახალი სახელმძღვანელოებით დაიწყებენ სწავლას. თუმცა პრობლემა კვლავ რჩება და ამას დიდი დრო სჭირდება, რომ საბოლოოდ გაიმართოს სასწავლო პროცესი და სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემა საბოლოოდ აღმოიფხვრას.

ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურება ასევე „ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ 2009 წლიდან დღემდე სახვადასხვა პროგრამების დანერგვით. ასევე ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაც, რომელიც 2010 წლიდან აქტიურადაა ჩართული ეთნიკური უმცირესობების თემის წარმომადგენლებს სახლთან მაქსიმალურად ახლოს შეუქმნან პირობები, რათა ისწავლონ სახელმწიფო ენა.

### **§4.3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი**

2016 წლიდან, ცენტრი ახორციელებს არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამას, რომელიც აერთიანებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამებს - "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა" (2009-2015წწ) და "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" (2011-2015წწ), რომელთა მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. უცხოეთში მცხოვრები

ქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლება და ქართულ კულტურასთან ზიარება დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენებით.

არაქართულენოვანი სკოლების საკადრო პრობლემების ნაწილობრივ მოგვარების მიზნით, პროგრამის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი) არაქართულენოვან სკოლებში 2016-2017 სასწავლო წელს მივლენილია მასწავლებელთა 3 ჯგუფი:

- ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებლები (114);
- ქართულის, როგორც მეორე ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების (ისტორია და გეოგრაფია) დამხმარე მასწავლებლები (136);
- ბილინგვი დამხმარე მასწავლებლები, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან და, ერთენოვანი დამხმარე მასწავლებლებისგან განსხვავებით, ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ნებისმიერ სასკოლო საგანში (28).  
[<http://tpdc.ge/geo/non-georgian-teachers/68>]

#### **§4.4. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა**

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამას ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს დაარსების დღიდან. იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს შეისწავლოს ქართული ენა ან გაიღრმავოს ცოდნა ამ მიმართულებით.

პროგრამით სწავლება ხორციელდება საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი. სწავლება მიმდინარეობს სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, წალკა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ლამბალო, ლაგოდეხი, ახმეტა) და სოფლებში არსებულ მობილურ ჯგუფებში.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა ხორციელდება ენის ფლობის ზოგადევროპული სტანდარტის მიხედვით და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

პროგრამით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მსმენელთა რაოდენობა ერთ აკადემიურ ჯგუფში განისაზღვრება 8 - 15 კაცის ოდენობით.

თითოეულ მსმენელს საკუთრად გადაეცემა ძირითადი სასწავლო მასალების კრებული და დამატებითი მასალების ელექტრონული, დამხმარე ლიტერატურა - დროებით სარგებლობაში.

მსმენელს, რომელმაც წარმატებით დაასრულა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა, მიეცემა სერტიფიკატი.

მსმენელს, რომელმაც წარმატებით ვერ დაასრულა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა, მიეცემა შესაბამისი ცნობა.

სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა ხორციელდება შემდეგ დონეებზე:

- A1 დონე (ენის გასაღები);
- A2 დონე (ენის საფუძველი);
- A2+ დონე (პედაგოგებისათვის);
- B1 დონე (ზღვრული);
- B1+დონე (სამოქალაქო განათლება);
- B1+დონე (სამართალმცოდნეობა);
- B1+დონე (ინფრასტრუქტურა);
- B1+დონე (მენეჯმენტი);
- B1+დონე (ფინანსები და შესყიდვები);

[<http://www.zspa.ge/geo/page/119>]

## თავი 5. სტანდარტი და სახელმძღვანელოები

### §5.1. ესგ - სტანდარტი

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილია ყველა საგნის საგნობრივი პროგრამები, მათ შორის, ცხადია, ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი პროგრამაცაა. ზოგად ნაწილში ვკითხულობთ თუ რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის სწავლას და რა ვალდებულება აკისრია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას.

*სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო ენის სწავლებას. [ეროვნული სასწავლო გეგმა]*

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება სტანდარტის მიხედვით, მიზნად ისახავს ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაებმება და საკუთარ წვლილს შეიტანს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

უფრო კონკრეტულად ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანია მოსწავლემ შეძლოს:

- წარმატებული კომუნიკაცია;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა და გაგება;
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ფასეულობების პატივისცემა;
- სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- ქართული ენის ცოდნის შემდგომი გაღრმავება და გამდიდრება დამოუკიდებლად;

- *სხვა ენების დამოუკიდებლად შესწავლა. [ესგ]*

ამ მიზნიდან გამომდინარე სტანდარტი მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

1. *ათვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;*
2. *შეიძინოს სხვადასხვა ტიპის უნარ-ჩვევა:*

- *სამეტყველო უნარ-ჩვევები (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი);*
- *განსხვავებული კულტურის გაგების უნარი;*
- *ენის სწავლის უნარ-ჩვევები (სწავლის სწავლა);*
- *სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვა).*

1. *ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოუკიდებულება:*

- *პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;*
- *ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;*
- *ენების სწავლის სურვილი და სხვა;*

2. *ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის განცდა. [ესგ]*

მიზნებისა და ამოცანების შემდეგ სტანდარტში მოცემულია საფეხურების მიხედვით საგნის დახასიათება. რადგან ჩვენს ინტერესს წარმოადგენს საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოები, შესაბამისად აქ წარმოვადგენთ ამავე საფეხურის სტანდარტში მოცემულ დახასიათებას:

*საბაზო საფეხური სავალდებულო სწავლების დამამთავრებელი ციკლია: საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა ერთი ნაწილი ტოვებს სკოლას და აქტიურ ცხოვრებაში ერთვება. ამ საფეხურზე ქართულის, როგორც მეორე ენის მთავარი აღმზრდელობითი მიზანია მოსწავლეში მოქალაქეობრივი შეგნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება (ტოლერანტობა, პირადი და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, დამოუკიდებლობა, თვითგანვითარება, კრიტიკული აზროვნება, თვითგამოხატვა. . . ).*

*ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებლო მიზანია მოსწავლის აღჭურვა საბაზისო ცოდნით, რომელიც მას ხელს შეუწყობს, გზა გაიკვალოს თანამედროვე ცხოვრებაში. კერძოდ, ამ ციკლის ბოლოს მოსწავლეს უნდა შეეძლოს:*



- ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია ქართულ ენაზე ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში;
- ნებისმიერი ტიპის არამხატვრული ტექსტის დამუშავება და გაანალიზება;
- კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების გაანალიზება;
- ცოდნის დონის დამოუკიდებლად ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით.

საბაზო საფეხურზე სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის მომზადება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად, როგორცაა გეზის არჩევა (აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმა, პროფესიული განათლების მიღება, სკოლაში სწავლის გაგრძელება). ამის უზრუნველსაყოფად სწავლების მეთოდოლოგიაში უნდა დაინერგოს ისეთი სტრატეგიები, რომლებიც გამოავლენს მოსწავლის პოტენციალის თავისებურებებს (მრავალმხრივი შეფასება). [ესგ]

დასახული მიზნების უზრუნველსაყოფად ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ხუთი მიმართულებით (მეხუთე დონემდე ცალკე მიმართულებად გადის გრამატიკაც) იშლება: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა.

### **მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა**

პირველ ოთხ მიმართულებას (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) აქვს საერთო შიდა სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ოთხი განსხვავებული ტიპის შედეგს:

1. კომუნიკაციური შედეგები, რომლებიც გულისხმობს ტექსტების შინაარსის გაგება-გაანალიზებას (კითხვასა და მოსმენაში) და შექმნას (წერასა და ლაპარაკში);
2. ენობრივი შედეგები, რომლებიც გულისხმობს ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობას (კითხვაში) და გამოყენებას (წერასა და ლაპარაკში);
3. სტრატეგიული შედეგები, რომლებიც გულისხმობს მოსმენის, კითხვის, ლაპარაკის, წერის სტრატეგიების დაუფლებას;
4. ინტერკულტურული შედეგები, რომლებიც გულისხმობს ტექსტების გაანალიზებას ინტერკულტურული თვალსაზრისით (კითხვაში).[ესგ]

თითოეულ სწავლების კომპონენტს ქვემოთ განვიხილავთ სახელმძღვანელოსთან მიმართებით.

## **§5.2. სახელმძღვანელოების აღწერა**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეები სწავლობენ სახელმწიფო ენას და მისი სახელწოდებაა ქართული, როგორც მეორე ენა. სახელმძღვანელოები 12 დონისაგან შედგება. რადგან ჩვენი ინტერესის სფერო ამ ეტაპზე საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების ანალიზია, შესაბამისად განვიხილავთ მათ. ამ ქვეთავში აღვწერთ თავად სახელმძღვანელოებს.

სახელმძღვანელოები შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ფარგლებში. ავტორები გახლავთ მაია მელიქიძე და თინათინ ცერაძე.

როგორც ყველა დონის სახელმძღვანელოს, ასევე მე-7, მე-8 და მე-9 დონის სახელმძღვანელო-კომპლექტიც შედგება მოსწავლის წიგნისა და რვეულისაგან, მასწავლებლის წიგნისა და აუდიო დისკისაგან.

წიგნების გვერდების რაოდენობა არ აღემატება 115 გვერდს, რვეულისა კი 250 გვერდზე მეტიცაა.

სამივე დონის სახელმძღვანელოში ერთნაირადაა მასალა გადანაწილებული: იწყება „პირველი ნაბიჯებით“, რომელიც გულისხმობს წინა სახელმძღვანელოში გავლილი მასალის გახსენებას, შემდეგ 5 თემა თავისი დასახელებებით, რასაც მოყვება „გრამატიკული გზამკვლევი“ და „დამატებითი საკითხავი“.

როგორც აღვნიშნეთ, „პირველ ნაბიჯებში“ თავმოყრილია მოსწავლის მიერ წინა დონის სახელმძღვანელოში ნასწავლი საკითხები, რაც წინარე ცოდნის გააქტიურებას ემსახურება. მოსწავლეები იხსენებენ განვლილ თემებს, უკვე ნასწავლ ლექსიკურ მარაგს, გრამატიკულ კონსტრუქციებს და ნაცნობ მასალაზე დაყრდნობით გადადიან ახლის შესწავლაზე.

თითოეული სახელმძღვანელოს სტრუქტურა, აგების პრინციპი ერთნაირია. თემა დასათაურებულია, ასევე არის თემიდან გამომდინარე ქვესათაურები. თემის დასაწყისში მოცემულია:

- ❖ **თემატური ცნობარი** - ჩამოთვლილია თემის ფარგლებში განსახილველი საკითხები;
- ❖ **ენობრივი ცნობარი** - ჩამოთვლილია საკითხები გრამატიკიდან, რომელთაც ამ თემის ფარგლებში განიხილავენ;
- ❖ **რას შევძლებთ?** - ჩამოთვლილია ერთგვარი ინდიკატორები, რა შედეგზეც გავლენ მოსწავლეები თემის დასრულების შემდეგ.

ამის შემდეგ მოცემულია ყველა თემისათვის შესაფერისი სტანდარტული დავალება, რომელშიც ტექსტებიდან ამონარიდებია და მოსწავლეს სთხოვენ თემატურ ცნობარში ჩამოთვლილ საკითხებს დაუკავშირონ. ეს დავალება ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას, ყურადღების მობილიზებასა და გააქტიურებას.

შემდეგ მოდის სხვადასხვა ტიპის დავალებები, ზოგიერთ თემაში ამის შემდეგ მოსმენის დავალებაა, ან ფოტოებია პროვოცირების ფაზისთვის.

თემებს ახლავს მოსმენის დავალებები. სამი, ოთხი და მეტი.

გრამატიკის თეორიული ჩანართები ადგილ-ადგილ არის მოცემული ყვითელი ფერის ფანჯარაში მოკლე სახით. სახელმძღვანელოს ბოლოს კი „გრამატიკულ გზამკვლევაში“ უფრო ვრცლად და გარკვევითაა წარმოდგენილი.

ტექსტები არის სხვადასხვა შინაარსის - ლიტერატურიდან, ისტორიიდან, მეცნიერული მიღწევების, ეკოლოგიის თუ სხვა მრავალი საინტერესო საკითხის, თანამედროვე ადამიანის გამოწვევების - ინტერნეტის, ტელევიზიის, ჯანსაღი ცხოვრების წესის და ა.შ. შესახებ. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ტექსტები ისეა შერჩეული და მიწოდებული, რომ გრამატიკაც ამ ტექსტებშივეა ჩადებული, ანუ იმის მიხედვით თუ რომელი გრამატიკული კატეგორია უნდა მიაწოდონ მოსწავლეს, ტექსტიც იმგვარადაა აგებული და ადაპტირებული.

### **§5.3. სწავლების 4 მიმართულება: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი**

**მოსმენის კომპონენტი სტანდარტის მიხედვით საბაზო საფეხურისათვის**

**(ზოგადი)**

*„ამ ეტაპზე მოთხოვნა გაგების თვალსაზრისით იზრდება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ ტექსტის უფრო ამომწურავად გაგება და ასევე სათანადო ძირითადი ენობრივი მახასიათებლების შესწავლა/გაანალიზება“. [ესგ]*

**მე-7 დონე** - მოსწავლეს მოსმენის კომპონენტი ათვისებული აქვს თუ მას შეუძლია აღიქვას თუ სად მიმდინარეობს საუბარი, ვინ არიან მოსაუბრეები და რის შესახებ საუბრობენ. იქნება აფიშა, რეკლამა, ტელევიზია თუ სხვა. ამ მხრივ მოსწავლეს სახელმძღვანელო აძლევს საშუალებას, რომ მოსმენის კომპონენტი სტანდარტის შესაბამისად დაძლიოს. მოსასმენი სავარჯიშოები შინაარსობრივად პასუხობს ამ დავალებას, თუმცა, ვფიქრობთ, მოსაუბრეთა ხმა აუდიო მასალაში დასახვეწია. სიტყვები არ ისმის მკაფიოდ, რის გამოც აღქმა უჭირთ მოსწავლეებს.

**მე-8 დონე** - სტანდარტის მიხედვით ამ დონეზე მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის რეპორტაჟის, ინტერვიუს, საინფორმაციო გადაცემების, ჩანაწერების (რადიო/ტელეპროგრამა, ამინდის პროგნოზი, ახალი ამბები და სხვა) ქართულ ენაზე მოსმენა და გაგება. თანამოსაუბრეთა შორის ყოველდღიურ თემებზე მიმდინარე ინტერაქციის მოსმენა და გაგება. ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა.

მართალია, სახელმძღვანელოში აღნიშნული ტიპის დავალებები გვხვდება, თუმცა პირადი გამოცდილებით, ვიცი, რომ მოსწავლეებს რეალურ გარემოში თუნდაც საინფორმაციო გამოშვების მოსმენისას ამ ცოდნის ტრანსფერი არ შეუძლიათ, იმიტომ, რომ მათ ამის პრაქტიკა არ აქვთ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე - მათ არ აქვთ ქართული სატელევიზო არხები, რომელთა საშუალებითაც მოსმენდნენ ინტერვიუებს, რეპორტაჟებს და ა.შ. იმიტომ ეს სხვა სახის პრობლემაა და სახელმძღვანელოს ფარგლებს ცდება.

**მე-9 დონე** - მოსწავლეს შეუძლია აქტუალურ და მისთვის საინტერესო საკითხზე / თემაზე არსებული დისკუსიის მოსმენა და გაგება. მოსწავლეს შეუძლია მისთვის ნაცნობ თემაზე (ტელე-რადიოს საინფორმაციო /შემეცნებითი გადაცემა, ინტერვიუ და სხვა)

სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ტექსტის გაგება. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს ძირითადი ენობრივი მახასიათებლები.

სტანდარტის ამ მოცემულობასთან სახელმძღვანელო თანხვედრაშია. არსებულ მასალაზე დაყრდნობით მოსწავლე შეძლებს მოსმენა-გაგებას, რადგან მისთვის საინტერესო საკითხებზეა საუბარი, როგორცაა, მაგალითად მე-2 თემა - პროფესიის არჩევის შესახებ. ეს მოსწავლეებისათვის, რა თქმა უნდა, საინტერესოა. რაც შეეხება, ტელე გადაცემებსა და ინტერვიუებს, ბუნებრივ გარემოში მათ ამის შესაძლებლობა არ აქვთ ქართული არხების არარსებობის გამო, ზემოთაც აღვნიშნე ეს ფაქტი. თუკი თავად პედაგოგის ძალისხმევით არ მოისმენენ ბავშვები.

### კითხვის კომპონენტი სტანდარტის მიხედვით საბაზო საფეხურისათვის (ზოგადი)

*„სწავლების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია წაკითხულის გაგების უნარის გაღრმავება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ სასწავლო მიზნით ადაპტირებული სხვადასხვა ფუნქციური სტილის (როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული) ტექსტების გაგება და გაანალიზება როგორც შინაარსის, ისე მათი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.*

*ყურადღება ექცევა ხმამაღალი კითხვის ტექნიკის დაუფლებას.*

*მოსწავლეებს საკითხავი ამოცანების გადაჭრის ხელშესაწყობად მოეთხოვებათ კითხვის სხვადასხვა სტრატეგიის (გაცნობითი, შესწავლითი და ძიებითი კითხვის ტექნიკა) გამოყენება.*

*როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კითხვის მიმართულებაში ცალკე შედეგად გადის ე.წ. კულტურათა დიალოგი. მოსწავლეები ამ ეტაპზე არამარტო იჩენენ ინტერესს, არამედ აანალიზებენ ტექსტს ინტერკულტურული თვალსაზრისითაც.” [ესგ]*

**მე-7 დონე** - მოსწავლეს კითხვის კომპონენტი ათვისებული აქვს თუ მას შეუძლია სასწავლო მიზნით ადაპტირებული სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის, კორესპონდენციის (ღია ბარათი, პირადი წერილი), საინფორმაციო-შემეცნებითი, ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტების წაკითხვა და გაგება.

ამ კუთხით სახელმძღვანელო სტანდარტთან თანხვედრაშია, თუმცა თავად შიდა ტექსტობრივად, ასე რომ ვთქვათ, არალოგიკური კავშირია. კერძოდ, მეოთხე თემაში საუბარია ტელევიზიაზე და მოცემულია როგორც საინფორმაციო ტექსტი ტელევიზიის დაარსების შესახებ, ასევე სხვადასხვა მოკლე ინფორმაცია პატარა ჟურნალისტებზე და ა.შ. ამაში საწინააღმდეგოს ვერაფერს ვხედავთ, თუმცა ვფიქრობთ, რომ გადაჭარბებულია და ზედმეტად ტვირთავს თემას როგორც დალის მოთხრობიდან „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“ ნაწყვეტი. მოსწავლეებისათვის ზედმეტ ძალისხმევას მოითხოვს იმავე თემაზე არასწორად შერჩეული ტექსტის გაგება-აღქმა.

**მე-8 დონე** - მოსწავლეს შეუძლია სასწავლო მიზნით ადაპტირებული სხვადასხვა სახის არამხატვრული, საინფორმაციო -შემეცნებითი, ბიოგრაფიული ტექსტის გაგება და გაანალიზება. მხატვრული ტექსტის ხმამაღლა კითხვა.

ამ კუთხით სახელმძღვანელო მოსწავლეს ნამდვილად უვითარებს კითხვის უნარებს და აძლევს სხვადასხვა ტიპის ტექსტებთან მუშაობის შესაძლებლობას. თუმცა, თემის შიგნით ტექსტებს შორის კავშირი შეუსაბამო და დამაბნეველია ხოლმე მოსწავლეებისათვის. მაგალითად, მე-5 თავი დათმობილია წიგნის კითხვასა და მის სიყვარულზე. საინტერესო ინფორმაციაა მოცემული წიგნის, ბიბლიოთეკების შესახებ. ამონარიდებია ქართველი თუ უცხოელი მწერლების შესახებ, მათი მოსაზრებებია წიგნის კითხვაზე წარმოდგენილი, რაც ცალსახად დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა საკითხავად მოცემულია ნაწყვეტი გოდერძი ჩოხელის „ცასწავალადან“. აქ ორგვარი ნიუანსი იკვეთება: 1. მონაკვეთი შუა კონტექსტიდან არის ამოღებული და მოსწავლეს აზრის გამოტანა უჭირს. მისახვედრია რაზეცაა საუბარი ტექსტში, მაგრამ არაქართველი მოსწავლე მთლიანობაში ვერ აღიქვამს და მისთვის დამაბნეველი და ხელისშემშლელი ხდება. 2. აღნიშნული მონაკვეთი რთული კომპოზიტებითაა დატვირთული, რაც ამნელებს აზრის გაგებასაც. ამას თუ დავუმატებთ იმ რთულ რეალობას, რომ თავად პედაგოგისთვისაც შესაძლოა გაუგებარი იყოს არასაკმარისი კომპეტენციის გამო, ორმაგად დიდ სირთულეს წარმოადგენს მოსწავლისათვის.

**მე-9 დონე** - მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის (სხვადასხვა სახის საგაზეთო პუბლიკაცია; სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი

ტექსტი), ადაპტირებული მხატვრული ტექსტის გაგება. მხატვრული ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

სახელმძღვანელო გარკვეულწილად შესაბამისობაშია სტანდარტთან. მოსწავლე წიგნში მოცემული ტექსტების საფუძველზე ნამდვილად შეძლებს არამხატვრული ტექსტის წაკითხვას, ასევე ადაპტირებული მხატვრული ტექსტისასაც, მაგრამ, როგორც მე-8 დონის სახელმძღვანელოს შესახებ გავამახვილეთ ყურადღება ზემოთ, აქაც მსგავსი პრობლემა იკვეთება, კერძოდ, მე-3 თემაში მოცემული ინფორმაცია, რომელიც ბუნებრივ კატასტროფებს ეძღვნება, საინტერესოდაა მიწოდებული, მოსწავლეები იღებენ როგორც ინფორმაციას ამა თუ იმ ბუნებრივი კატასტროფის შესახებ, ასევე მათ შესატყვისსაც სწავლობენ ქართულ ენაში, რაც დადებითი და მისასალმებელია, თუმცა თემაში ჩართული ნაწყვეტი მოთხრობიდან „კომეტა მუმინების ხეობაში“, რომელიც ფინელ მწერალ ტუვე იანონს ეკუთვნის, ძნელად აღსაქმელია კვლავ თემასთან კავშირში. გვესმის ის ფაქტი, რომ ავტორებმა ბუნებრივ კატაკლიზმებს დაუკავშირეს მოთხრობაში მოცემული მიწისძვრა თუ „ცეცხლისმფრქვეველი“ მთის ამბავი, მაგრამ არაქართველი ბავშვისათვის რთულად აღსაქმელია ქართველ ბავშვზე მორგებული ტერმინოლოგიით დატვირთული ნარატივის კითხვა. ვგულისხმობ იმას, რომ ე.წ. ენამოჩლექილი მეტყველება ქართველი ბავშვისათვის გასაგებია, მაგრამ ეს არაქართველისთვის ძნელად აღსაქმელია. მან ჯერ უნდა ისწავლოს და დაიმახსოვროს „ვულკანი“ და შემდეგ მისი „ბავშვური“ ანალოგი „ცეცხლისმფრქვეველი მთა“, თანაც დამეთანხმებით, როგორი გრძელი სიტყვაა.

### **წერის კომპონენტი სტანდარტის მიხედვით საბაზო საფეხურისათვის**

#### **(ზოგადი)**

*„ამ ეტაპზე სწავლება თანდათან გადადის რეპროდუცირებიდან პროდუცირებაზე. მოსწავლეები სწავლობენ პრაგმატული ხასიათის ინფორმაციული ტექსტების (ბუკლეტი, აფიშა, ინსტრუქციები, გზამკვლევი და სხვა) წერას; ქმნიან ტექსტებს, რომლებშიც ავლენენ პიროვნულ და შემოქმედებით დამოკიდებულებას; წერენ გამომხატურებას აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე, სხვადასხვა ტიპის საქმიან*

წერილს (მაგ., ე.წ. CV, სამოტივაციო წერილი, ახსნა-განმარტებითი წერილი და სხვა).”[ესგ]

**მე-7 დონე** - სტანდარტის მიხედვით მოსწავლეს შეუძლია პრაგმატული ხასიათის ინფორმაციული ტექსტების(რეკლამის, აფიშის, ტელეგადაცემების, ფილმების ანონსის, ანოტაციის), პირადი წერილის, ღია ბარათის, თხრობითი ხასიათის ტექსტების (მოგონება, ამბავი...) წერა.

სახელმძღვანელოში საკმაოდაა მოცემული ის მასალა, რომელმაც ამ შედეგზე უნდა გაიყვანოს მოსწავლე, თუმცა წერის უნარები ერთ-ერთი ყველაზე ძნელად დასასწავლია ამ ოთხ კომპონენტს შორის და მე-12 კლასშიც კვლავ თვალსაჩინო შეცდომები აქვთ ხოლმე მოსწავლეებს. ამასთან, ცხადია, პედაგოგის მუშაობის ტექნიკა. ამიტომ ამაზე მსჯელობა ძალიან სუბიექტური იქნება ჩვენი მხრიდან.

**მე-8 დონე** - სტანდარტის მიხედვით მოსწავლეს შეუძლია ბიოგრაფიული ხასიათის ტექსტების წერა, საგაზეთო პუბლიკაციის (ინტერვიუ, სტატია...) შექმნა. საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენება.

სახელმძღვანელოში მართალია მოცემულია რამდენიმე მწერლის ბიოგრაფია, რომელიც პირველ პირშია წარმოდგენილი, ანუ მწერალი თავად საუბრობს, მაგრამ ამის გამო ვერ ვიტყვით, რომ ბიოგრაფიული ხასიათის წერას შეძლებს მოსწავლე, თუ პედაგოგის განსაკუთრებული მიდგომა არ იქნება და სხვადასხვა ტიპის დავალებებს არ შესთავაზებს მოსწავლეს, რომ განუვითარდეს წერის უნარები. აქაც იმავეს ვიტყვით, რაც ზემოთ მე-7 დონის ამავე კომპონენტზე აღვნიშნეთ, წერა ერთ-ერთი ყველაზე რთული დასასწავლია და მოზრდილობამდე გამოუსწორებელი რჩება ხოლმე. ამიტომ ცალსახად, პედაგოგის მეთოდის გარეშე, ვერ ვისაუბრებთ.

**მე-9 დონე** - მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის საქმიანი წერილის წერა, როგორებიცაა რეზიუმე (ე.წ. CV), სამოტივაციო წერილი და აშ. ისეთი მხატვრული ტექსტის შექმნა, სადაც გამოავლენს პიროვნულ და შემოქმედებით დამოკიდებულებას.

სახელმძღვანელო შესაბამისობაშია სტანდარტთან, მოსწავლე არსებული მასალის საფუძველზე შეძლებს დაწეროს CV, სამოტივაციო წერილი, თუმცა შემოქმედებითი და პიროვნული დამოკიდებულების გამოვლენა წერილობით გაუჭირდება, ამის თქმის უფლებას ზოგადი ტენდენცია გვაძლევს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ წერის უნარები



ყველაზე გვიან უვითარდებათ ხოლმე მოსწავლეებს, ვგულისხმობ საფუძვლიანად. თუმცა, კვლავ სუბიექტურები ვიქნებით, რადგან არ ვიცით კონკრეტული პედაგოგი რა მეთოდით მიუდგება და ასწავლის მოსწავლეებს.

**ლაპარაკის კომპონენტი სტანდარტის მიხედვით საბაზო საფეხურისათვის  
(ზოგადი)**

*„მეორე ეტაპზე პრიორიტეტული ამოცანაა მოსწავლის ალაპარაკება. უფრო მრავალფეროვანი ხდება საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც იგი მონაწილეობს როგორც მსმენელი ან მოქმედი პირი. იწყებს ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენებას როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს. პირად ან სხვის გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეები საუბრობენ მათთვის საინტერესო და სასურველ თემებზე/ნაცნობ პრობლემებზე.“*

**მე-7 დონე** - სტანდარტის მიხედვით მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობის მიღება. გაბმულად ლაპარაკი, ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენება.

ლაპარაკის კომპონენტის დასაუფლებლად სახელმძღვანელოში მოცემულია თითოეული ტექსტის შემდეგ კითხვებზე პასუხი, სხვადასხვა პროექტები, ჯგუფური დავალებები. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლის აზრის დაფიქსირება, ცხადია, ხელს უწყობს სასაუბრო უნარების განვითარებას. თუმცა, აქაც აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის მიდგომასა და მეთოდოლოგიაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ამ კომპონენტის დაძლევა.

**მე-8 დონე** - მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება მარტივ საკლასო დისკუსიებში წინასწარ მომზადებულ მისთვის აქტუალურ საკითხებზე. (საყვარელი გადაცემა/წიგნი/მუსიკა/ მოგზაურობა და სხვა). მოსწავლეს შეუძლია ფუნქციურად გამოიყენოს საბაზო ენობრივი უნარ-ჩვევები.

სახელმძღვანელოში არსებული თემატიკისა და დავალებების გათვალისწინებით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნამდვილად შეძლებს მოსწავლე მარტივ დისკუსიებში ჩართვას, შეძლებს ისაუბროს თავის საყვარელ წიგნზე, მუსიკასა თუ გადაცემაზე, თუკი პედაგოგი ამას პრაქტიკულად განახორციელებინებს და

მრავალჯერადი განმეორებით სასაუბრო უნარების დაისწავლიან და განივითარებენ კიდევ.

**მე-9 დონე** - მოსწავლეს შეუძლია წინასწარ მოემზადოს და მონაწილეობა მიიღოს საკლასო დისკუსიებში ისეთი კონკრეტული საკითხის/პრობლემის გარშემო, რომელსაც საკითხავ ტექსტებში გაეცნო. შეუძლია წინასწარი მომზადების გარეშე ისაუბროს მისთვის ნაცნობ პრობლემაზე (ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან, უფროს თაობასთან და სხვა). შეუძლია თავი გაართვას ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციას.

ამ შემთხვევაში კვლავ გავიმეორებ, რომ ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ამას ყველაფერს შეძლებს მოსწავლე. სახელმძღვანელოში არის მსგავსი ტიპის ტექსტები, თუმცა რამდენად შეძლებს საუბარს მოსწავლე დამოუკიდებლად პედაგოგისა და მისი მეთოდოლოგიის განხილვის გარეშე, ძნელია სათქმელად.

რაც შეეხება გრამატიკას, ვფიქრობთ, ის საჭიროებს დეტალურ განხილვასა და ანალიზს, რაც ცალკე კვლევის საგანია, ჩვენი აზრით. თუმცა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იგი დაცლილია ზედმეტი ტერმინოლოგიისაგან და მარტივადაა მიწოდებული, რამდენადაც საკითხი იძლეოდა საშუალებას, მაგრამ ზემოთ რომ ვახსენეთ „გრამატიკული გზამკვლევი“, რომელიც სახელმძღვანელოს ბოლოს ახლავს, იქ უკვე ვრცლადაა აღწერილი თითოეული საკითხი თავისი ტერმინოლოგიით.

მე-7 დონის სახელმძღვანელოში მოცემულია რიცხვში შეთანხმება, ზმნის პირიანობა, სახელზმნა, სინონიმები და ანტონიმები და ა.შ.

მე-8 დონის სახელმძღვანელოში უკვე სწავლობენ რიცხვითი სახელების მართლწერას, მოქმედებითი ბრუნვას, ზმნის აქტიურ და პასიურ ფორმებს, ასპექტი, ფორმაუცვლელი სიტყვები და ა.შ.

მე-9 დონის სახელმძღვანელოში მოცემულია ვრცლად ნაცვალსახელები და მათი სწორად გამოყენების წესი, წარმომავლობის, ანუ სადაურობის გამოხატვა, გეოგრაფიული სახელების წარმოქმნა და ა.შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეული საკითხი მცირე სახით ყველა დონეში არის ხოლმე მოცემული, რაც უფრო მაღალ დონეზე გადადის მოსწავლე, შედარებით ვრცლად ხვდებათ მათთვის აქამდე უკვე ცნობილი საკითხი, მაგალითად მე-5 დონის

სახელმძღვანელოში წარმავლობის, ანუ სადაურობის გამოხატვა უკვე იციან, მომდევნო დონეებში კიდევ ხვდებათ ეს საკითხი, თუმცა უფრო ვრცლად.

#### **§5.4. სახელმძღვანელოში გასათვალისწინებელი კულტურული იდენტობის წყაროები**

კულტურული იდენტიფიკაცია ინდივიდუალურად ხდება თითოეულ პერსონაში. ეს პროცესი ადრეული ბავშვობიდან იწყება გაუცნობიერებლად ხოლო სასკოლო გარემოში, ზრდასა და განათლების მიღებასთან ერთად მკაფიოდ ყალიბდება კულტურული იდენტობის აღქმა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინდივიდის ფორმირებას.

დადგენილია კულტურული იდენტობის თორმეტი წყარო, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლა-სწავლების პროცესზე:

თორმეტი წყარო, რომელიც განაპირობებს ინდივიდის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებას: (1) რასა; (2) ნაციონალობა/ეთნიკური წარმომავლობა; (3) ენა; (4) რელიგია; (5) სქესი; (6) სოციალური მდგომარეობა; (7) სოციალური სტატუსი; (8) ასაკი; (9) გეოგრაფიული მდებარეობა; (10) ჯანმრთელობა; (11) შესაძლებლობა/ შეზღუდული შესაძლებლობა; (12) სექსუალური ორიენტაცია (კუმნერი, მაკკლილანდი, საფორდი, 2006, გვ. 70;)

შესაბამისად სახელმძღვანელოებშიც დაცული უნდა იყოს ზემოჩამოთვლილი კულტურული იდენტობის წყაროები, რადგან ჩვენი ამოცანაა სწორედ განსხვავებული კულტურული იდენტობის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთვის სახელმწიფო ენის სწავლება და პროცესში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეს მიდგომები. პირველ რიგში, სახელმძღვანელოში უნდა იყოს დაცული ეს პრინციპები და შესაბამისად მეთოდოლოგიაც მასზე დაყრდნობით დაინერგება.

ამიტომ საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების ზოგად ანალიზს ამ კუთხითაც წარმოვადგენთ:

## რასა; ნაციონალიზმი/ეთნიკური წარმომავლო

ინდივიდის იდენტობისა და აზროვნების ფორმირებაში ეთნიკური წარმომავლობა ყველაზე დიდ როლს თამაშობს. ეთნოცენტრული აზროვნება ფართოდაა გავრცელებული მოსწავლეებსა და მასწავლებლებში, რაც იწვევს მოსწავლეებში სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელო, უპირველეს ყოვლისა, ამ სტერეოტიპების მსხვერვისა და ტოლერანტული სულისკვეთების მატარებელი უნდა იყოს. საინტერესოა, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებში.

მე-7 და მე-8 დონის სახელმძღვანელოებში არსად არაა ნახსენები საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ. ზოგადად საუბარი არის სხვადასხვა ეროვნების ადამიანებსა და ქვეყნებზე (მე-7, ქვეთავი - მე მიყვარს მოგზაურობა, გვ. 6-9), სადაც სწავლობენ წარმომავლობის გრამატიკულ წარმოებას. ასევე სხვადასხვა ადგილას მოყვანილია უცხოელი მწერლები, კნუტ ჰამსუნი, ანა ფრანკი და ა.შ. მაგრამ სხვა კონტექსტში და არა, როგორც ეთნიკურ/ნაციონალური კუთხით. მხოლოდ მე-9 დონის სახელმძღვანელოშია ერთი თავი, კერძოდ, მე-5 თავი სათაურით „ერთი ცის ქვეშ“ საუბარი ქართული ეთნოსისა და საქართველოს კუთხეების შესახებ (ქვეთავი - ეს ჩვენი საქართველოა გვ. 80-81 ) და ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის შესახებ (ქვეთავი - საქართველო მათი სახლია - გვ. 82-85 )

ასევე საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ადამიანთა საკუთარი სახელებიც მხოლოდ ქართულია, როგორებიცაა გიორგი, მარიამი, სალომე, რეზო და ა.შ. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე უცხოელი მწერლისა თუ მოგზაურის სახელს და ასევე ფინელი მწერლის ტუვე იანსონის მოთხრობაში „კომეტა მუმინების ხეობაში“ უცხოური სახელის პერსონაჟების არსებობას. ერთადერთი ზემოაღნიშნული თავია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აშუღებზე მიძღვნილი და იქაც მხოლოდ ორი სახელი საიათნოვა (არუთიუნ საიათიანი) და ჰაზირა (აბრამ აბრამოვი) ნახსენები. ვფიქრობ, ეს არსებული სიტუაცია მოსწავლეებში გაუცხოებას იწვევს რეალობასთან. ისინი ქართულ ენას უცხო ენად უფრო აღიქვამენ, ვიდრე თავიანთ საარსებო გარემოს ბუნებრივ მდგომარეობას და კავშირს თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

ასევე უნდა აღინიშნოს სახელმძღვანელოებში არსებული ტენდენცია გეოგრაფიული პუნქტების შესახებ. ძირითადად საუბარია დედაქალაქზე, რამდენიმე ქართულ რეგიონზე (ისიც ქართველი მწერლების დაბადების ადგილების აღნიშვნისას), სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ და მოსწავლეებს, ფაქტობრივად, არაფერი სმენიათ და უცხოა მათთვის. ასევე საუბარია მსოფიოს ცნობილ ქალაქებზე, ისტორიულ ფაქტებზე, ბუნებრივ კატაკლიზმებზე კონკრეტულ ადგილს, ქალაქს, რომელიც უკავშირდება, მაგრამ არაფერია ნათქვამი ჩვენი მოსწავლეების ნაცნობ ადგილებზე, ქალაქებსა და სოფლებზე. ცხადია, დადებითი ის არის ამაში, რომ მოსწავლეები ეცნობიან საქართველოსა და მსოფლიოს მნიშვნელოვან ადგილებს, იმდიდრებენ ცოდნას, თუმცა მათ გაუცხოების განცდა ეუფლებათ, როდესაც ნაცნობ ადგილს არ ხვდებიან. ვფიქრობ, გაცილებით საინტერესო და მამოტივირებელი იქნებოდა, თუკი ტექსტებში თავიანთ მშობლიურ მხარესაც, ან ქალაქს შეხვდებიან.

## **ენა**

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ენის სწავლება ორი პრინციპით ხორციელდება:

1. ეთნიკური უმცირესობების ენის შენარჩუნება-დაცვა და 2. სახელმწიფო ენის სწავლების ვალდებულება.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში, საათობრივ ბადეში მშობლიური და სახელმწიფო ენებისათვის თანაბრად საათები გადანაწილებული, კერძოდ, 5-5 საათი ეთმობა თითოეულს კვირაში.

ეთნიკური უმცირესობები სწავლობენ თავიანთ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას სრულყოფილად, ეთნიკურად სომეხი ან აზერბაიჯანელი პედაგოგის დახმარებით. ასევე სახელმწიფო ენას ასწავლის მათ როგორც ადგილობრივი პედაგოგი, ასევე ქართველი კონსულტანტ-მასწავლებელი, თუმცა ყველა სკოლაში არ არიან ქართველი პედაგოგები და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მასწავლებლები არ არიან კვალიფიციურები. ამ საკითხზე ზემოთაც ვისაუბრეთ.

ზოგადად რომ ვთქვათ, ენის კუთხით მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული სიტუაციაა.

## **რელიგია**

ამ კუთხით ცოტა რთულია საუბარი. რელიგიაზე ერთი სიტყვაც კი არაა არც ერთ სახელმძღვანელოში. მიუხედავად იმისა, რომ მე-8 და მე-9 დონის სახელმძღვანელოები

საკმაოდ საინტერესოა მრავალფეროვანი შინაარსის ტექსტებით, რომელთა შორის საქართველოს ისტორიულ ძეგლებზეცაა საუბარი, კერძოდ უფლისციხე, ვარძია ( მე-8 დონე, გვ.57) და შესაძლებელი იყო რაღაც დონეზე რელიგიურობის გამოკვეთაც, ამ შემთხვევაშიც კი არაა მსგავსი რამ ნახსენები. ვფიქრობ, ეს არ არის სწორი მიდგომა და ელემენტარულ ტერმინების დონეზე - ქრისტიანობა - ქრისტიანი, ისლამი - მუსლიმანი, უნდა იყოს ნახსენები მაინც.

### **სქესი**

ამ მხრივ სახელმძღვანელოებში ბალანსი დაცულია. როგორც მწერალ-პოეტთა თუ საზოგადო მოღვაწეთა შორის, ასევე პერსონაჟთა შორისაც გენდერული უთანასწორობა არ არის.

### **სოციალური მდგომარეობა; სოციალური სტატუსი**

ვფიქრობთ, ეს კომპონენტი გარკვეულ წილად დაუბალანსებელი და სამიზნე ჯგუფთან მიმართებით არაადეკვატურია VII, VIII და IX კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოებში. აქ წარმოდგენილ პერსონაჟთა სოციალური მდგომარეობა და მათი სოციალური სტატუსები არ არის თანხვედრაში სამიზნე ჯგუფთან. მოსწავლეთა ოჯახების დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, რაც, ცხადია, აისახება ბავშვების სწავლაზე. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხშირად განსაზღვრავს მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებს.

სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ მასალაში საუბარია თუ როგორ მიდიან ბავშვები სამოგზაუროდ ოჯახთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ქალაქში (მე-7დონე, გვ.7-8), პერსონაჟები საუბრობენ მშობლების პროფესიებისა და სამუშაო ადგილების შესახებ (მე-9 დონე, გვ. 15, გვ. 34) მოსწავლეთა უმრავლესობის ოჯახებს საკმაოდ მძიმე სოციალური ფონი აქვთ და ამის გამო, მათი რეალიზებაც ვერ მოხდა საზოგადოებაში. ბევრ მათგანს საშუალო განათლებაც არ აქვს სრულად მიღებული. ამ ყველაფერს საბაზო საფეხურის ასაკის ბავშვები უკვე კარგად აცნობიერებენ და ერთგვარად ითრგუნებიან თუკი სხვა მათი თანატოლი მოგზაურობს, ჰყავს წარმატებული მშობელი, რატომ მას არ აქვს იგივე სიტუაცია. გარკვეულ წილად მოქმედებს ეს მოსწავლის თვითშეფასებაზე.

## ასაკი

საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოები ასაკობრივი სახესხვაობებით არ გამოირჩევა. უფრო მეტიც, საუბრები ძირითადად მოზარდების შესახებაა და მათი ასაკის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, აქტივობებზეა აქცენტები. ვერ ვიტყვით, სტერეოტიპულადაა მოცემული ასაკი, რადგან მოსწავლეთა ძირითადი საქმე და მოვალეობა სწავლაა და ამ კუთხითაა სახელმძღვანელოში. ასევე მე-7 დონის სახელმძღვანელოში ასეთი ქვეთავია „პატარა გენიოსები“, რომელშიც საუბარია სხვადასხვა ასაკის ბავშვის გასაოცარ შესაძლებლობებზე (მე-7 დონე, გვ. 40-41)

## §5.5. სხვა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ენის ცოდნის დონეს

ზემოთ, განვიხილეთ სახელმძღვანელოები, ხაზი გავუსვით დადებით მხარეებს და ასევე გავამახვილეთ ყურადღება მის ნაკლოვანებებზე. გვესმის, ცხადია, რომ უნივერსალური არაფერია, მით უფრო სახელმძღვანელო. ამიტომ ამ ქვეთავში შევხებით სხვა ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სწავლის ხარისხზე და დიდწილად განსაზღვრავენ ენის ცოდნის დონეს. როგორცაა პედაგოგის როლი, სკოლის კულტურა, სოციალური მდგომარეობა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ა.შ.

უპირველესად, უნდა შევხებით პედაგოგის ფენომენს, რაც საკმაოდ პრობლემური საკითხია. იშვიათად მოიძებნება ისეთი სკოლა, სადაც ადგილობრივი მასწავლებელი კარგად ფლობს ქართულს, არაფერს ვამბობთ სწავლების მეთოდიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“, რომელიც მანამდე ცნობილი იყო „დამხმარე მასწავლებლების“ სახელით, ასევე უმეტეს სკოლებში კონსულტანტ-მასწავლებლები არიან და მოსწავლეებთან ერთად პედაგოგებსაც ასწავლიან სახელმწიფო ენას, პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. ცხადია, წინსვლა არის, პედაგოგები უკვე წარმატებით აბარებენ მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდებს, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი პედაგოგია, ვისაც არ ჩაუბარებია. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ სახელმძღვანელოზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, პედაგოგის გარეშე ვერც ერთი სახელმძღვანელო გაგვიყვანს

სასურველ შედეგზე. მასწავლებლის მზაობა არსებულ სიტუაციასთან, მისი პროფესიული უნარ-ჩვევები, კომპეტენტურობა უპირობო ვალდებულებაა ენის პრობლემის მოსაგვარებლად.

სოციალური ფაქტორებიც ძალიან მნიშვნელოვანია ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

რაც შეეხება გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ზოგიერთი რეგიონი სამცხე - ჯავახეთი, ქვემო ქართლის რაიონები საკმაოდ რთულ კლიმატურ პირობებში ცხოვრობენ. მე მაქვს პირადი გამოცდილებაც. ორი წელი სამცხე-ჯავახეთში ვასწავლიდი ქართულ ენას, კერძოდ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ვლადიმროვკის საჯარო სკოლაში. ამ რეგიონში ნინოწმინდა გამორჩეულად ცივ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს. ზამთარში -30 გრადუსაც ხშირად უტოლდება ხოლმე ყინვა. ამას ემატება უხვი ნალექი, დიდთოვლობა, ძლიერი ქარი. ასეთი ამინდის გამო ხშირად უძნელდებათ სკოლამდე მისვლა მოსწავლე-მასწავლებლებს, თუმცა მაინც ძალიან მონდომებულები არიან და იშვიათად რომ აცდენენ გაკვეთილებს. სკოლა შეშის ღუმელით თბება, თუმცა ასეთ ყინვაში ოდნავ რომ განელდეს ღუმელი, მაშინვე სიცივე იგრძნობა. ამრიგად, გეოგრაფიული მდებარეობაც ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე.



## კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების სწავლების მეთოდოლოგიაში არსებული პრობლემებისა თუ დადებითი მახასიათებლების გამოვლენა და ანალიზი.

დავისახეთ კვლევის ამოცანები:

- ❖ მეორადი ინფორმაციის მოძიება - დამუშავება;
- ❖ კვლევის მეთოდების განსაზღვრა;
- ❖ რესპონდენტთა ჯგუფის განსაზღვრა;
- ❖ კვლევის ჩატარება;
- ❖ მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- ❖ დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდი - თვისებრივი კვლევა:

- ❖ დოკუმენტაციის ანალიზი (სამაგიდე კვლევა);
- ❖ საბაზო საფეხურის პედაგოგების გამოკითხვა;

კვლევის ინსტრუმენტი: ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი;

კვლევის სამიზნე ჯგუფი: საბაზო საფეხურის პედაგოგები;

შერჩევის მეთოდი - მიზნობრივი: საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის პედაგოგები; გამოკითხული პირები ავირჩიეთ მიზნობრივად, კერძოდ, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების პედაგოგები, როგორცაა სამცხე-ჯავახეთის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ქვემო ქართლის ეთნიკურად სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი მასწავლებლები.

გამოკითხვაში მონაწილე პედაგოგების ვინაობა ანონიმურია

კვლევის ჩატარების პროცესის აღწერა:

კვლევის პირველი ეტაპი - წინამდებარე ნაშრომის I, II, III, IV და V თავები ასახავს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საკითხთა თეორიულ მიმოხილვას, რომელიც განხორციელდა მოძიებული ლიტერატურის საფუძველზე.

**კვლევის მეორე ეტაპი** - თემაში განხილული საკითხებიდან გამომდინარე, გადაწყვეტიტე ჩამეტარებინა თვისებრივი, განვსაზღვრე რესპოდენტები და შევადგინე კითხვების ჩამონათვალი ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის.


**კვლევის მესამე ეტაპი** - ჩავატარე ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხური მოქმედი და გამოცდილების მქონე პედაგოგების(ვინც ამჟამად არ ასწავლის საბაზოს, მაგრამ წინა წელს ასწავლიდა და აქვს გამოცდილება) გამოკითხვა;

**კვლევის მეოთხე ეტაპი** - კვლევის მეოთხე ეტაპზე მოხდა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი.

## კითხვარი ქართულის, როგორც მეორე ენის პედაგოგებისთვის

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ქართულის, როგორც მეორე ენის 90 პედაგოგი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. გამომდინარე იქიდან, რომ პირადი კონტაქტები გამოვიყენე, რადგან თავად ვიმყოფებოდი ჯავახეთში მასწავლებლად, კვლევაში მონაწილე პედაგოგების უმრავლესობა სწორედ ამ რეგიონიდანაა. გამოკითხვაში მონაწილე პედაგოგები იყვნენ როგორც ეთნიკურად ქართველები, ასევე სომხები და აზერბაიჯანელები.

### 1. რომელ რეგიონში ასწავლით?



დიაგრამა 1.1

### 2. რომელ ეთნიკურ ჯგუფს ასწავლით?


სომხებს - 86%

აზერბაიჯანელებს - 13%

ბერძნებს - 0.3%

რუსებს - 0.7%

3. როგორ შეაფასებდით თქვენს მუნიციპალიტეტში/სოფელში სახელმწიფო ენის ცოდნის დონეს 5-ბალიანი სისტემით? (რიცხვებს აქვთ შემდეგი დატვირთვა: 1 - ძალიან ცუდი; 2 - ცუდი; 3 - დამაკმაყოფილებელი; 4 - კარგი; 5 - ძალიან კარგი)



დიაგრამა 1.2

4. რამდენად მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო ქართული ენის კარგად დაუფლებისათვის? გთხოვთ, დაწეროთ რატომ ფიქრობთ ასე.

ეს კითხვა პასუხის დაწერას მოითხოვდა და ასევე მის დასაბუთებას. პედაგოგების 90% მიიჩნევს, რომ სახელმძღვანელო ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხიანი და წარმატებული სწავლებისათვის:

*„ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქართული ენა ჩვენი მშობლიური ენა არ არის და ბევრი რამ დამოკიდებულია სახელმძღვანელოებზე“.*

*„ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ სახელმძღვანელო აძლევს მოსწავლეს სტიმულს ამა თუ იმ გაკვეთილის კარგად შეთვისებისთვის. სახელმძღვანელო ახალი მეთოდებით აღჭურვილი და ინტერესის აღმძრელი უნდა იყოს“.*

*„სახელმძღვანელო ყველასათვის მისაწვდომია, დანარჩენი საშუალებები კი -არა“.*


*„სახელმძღვანელო მასწავლებელს გზას უჩვენებს, რა და როგორ ასწავლოს. მოსწავლეს ეხმარება გაკვეთილზე მოსმენილის ვიზუალურ აღქმაში, ცოდნის ორგანიზებასა და ვარჯიშში“.*

*„დიახ, აუცილებელია, რადგან ეს სწავლებას სისტემურ ხასიათს აძლევს“.*

ზოგიერთი პედაგოგი მას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს და მიაჩნია, რომ მთავარი მასწავლებლის როლია:

სახელმძღვანელო არ არის მთავარი რესურსი. უფრო მნიშვნელოვანია მასწავლებლის კვალიფიკაცია, თუმცა, უკეთესი სახელმძღვანელო კარგი დამხმარე რესურსი იქნება მასწავლებლისთვის.

5. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის მისაღწევ შედეგებში ვკითხულობთ, რომ ამ საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1. ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია ქართულ ენაზე ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებში; 2. ნებისმიერი ტიპის არამხატვრული ტექსტის დამუშავება და გაანალიზება; 3. კულტურული და სოციოკულტურული თავისებურებების გაანალიზება; 4. ცოდნის დონის დამოუკიდებლად ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით. როგორ ფიქრობთ, არსებული სახელმძღვანელოების საფუძველზე მოსწავლე შეძლებს ამ შედეგზე გასვლა?




დიაგრამა 1.3.

47,8%-მა ამ კითხვაზე უპასუხა, რომ ესგ-ით გათვალისწინებულ შედეგებზე არსებული სახელმძღვანელო გაიყვანს მოსწავლეებს. 31,1%-მა კი - სახელმძღვანელოთი შედეგზე ვერ გავალთო. 21,1% კი ამბობს, რომ ნაწილობრივ შეძლებს შედეგზე გასვლას.

6. ესგ-ით გათვალისწინებულია, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება ხორციელდება ოთხი მიმართულებით: მოსმენა, წერა, კითხვა და ლაპარაკი. თქვენი გამოცდილებით, სახელმძღვანელო რამდენად იძლევა საშუალებას, რომ ამ ოთხივე მიმართულებით იმუშაოთ შედეგიანად?

პედაგოგების უმეტესობა თვლის, რომ სახელმძღვანელოს ბაზაზე მოსმენისა და ლაპარაკის უნარების განვითარება ნაკლებად ხდება. დანარჩენი ნაწილი კი ფიქრობს, რომ სახელმძღვანელო 4 კომპონენტის განვითარებას უწყობს ხელს.


7. სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები რამდენად საკმარისია მოსმენის უნარის განსავითარებლად?



დიაგრამა 1.4.

47,8% ფიქრობს, რომ სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები არ არის საკმარისი მოსმენის უნარის განსავითარებლად. 40%-ს მიაჩნია, რომ საკმარისია. გამოკითხულთა 12,2%-ის აზრით კი ნაწილობრივად ხორციელდება მოსმენის უნარის განვითარება.


8. სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები რამდენად საკმარისია კითხვის უნარის განსავითარებლად?



დიაგრამა 1.5

27,8% ფიქრობს, რომ არ არის საკმარისი კითხვის უნარის განსავითარებლად სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები, 61,1 % კი ფიქრობს, რომ სრულიად საკმარისია, დანარჩენი 11,1%-ის აზრით, კი ნაწილობრივად შეიძლება შედეგზე გასვლა ამ კუთხით.


9. სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები რამდენად საკმარისია წერის უნარის განსავითარებლად?



დიაგრამა 1.6

გამოკითხულთა 34,4%-ის აზრით, წერის უნარის განსავითარებლად სახელმძღვანელოში წარმოდგენილი დავალებები არ არის საკმარისი, 61,1% მიიჩნევს, რომ სრულიად საკმარისია, ხოლო 4,5% ფიქრობს, რომ ნაწილობრივად შესაძლებელია წერის უნარის განვითარება სახელმძღვანელოს მეშვეობით.


10. სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები რამდენად საკმარისია ლაპარაკის უნარის განსავითარებლად?



დიაგრამა 1.7

გამოკითხულთა 43,3% ფიქრობს, რომ სახელმძღვანელო ვერ უვითარებს მოსწავლეებს წერის უნარს, 51,1%-ის აზრით, უვითარდებათ ეს უნარი, ხოლო 5,6%-ს მიაჩნია, რომ ნაწილობრივ არის შედეგიანი ამ კუთხით სახელმძღვანელო.


11. ესგ-ში ზემოხსენებულ ოთხ მიმართულებასთან ერთად, ასევე საუბარია სწავლის სწავლაზეც. თქვენი აზრით, რამდენად უვითარდებათ მოსწავლეებს დამოუკიდებლად სწავლის უნარები სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით? (რიცხვებს აქვთ შემდეგი დატვირთვა: 1 - ძალიან ცუდი; 2 - ცუდი; 3 - დამაკმაყოფილებელი; 4 - კარგი; 5 - ძალიან კარგი)



დიაგრამა 1.8


12. ინდივიდის იდენტობისა და აზროვნების ფორმირებაში ეთნიკური წარმომავლობა ყველაზე დიდ როლს თამაშობს. ამ კუთხით რამდენადაა სახელმძღვანელოში მისი ეთნიკური იდენტობის წარმოჩენა? (რიცხვებს აქვთ შემდეგი დატვირთვა: 1 - საერთოდ არ არის; 2 - მინიმალური რაოდენობით; 3 - საშუალოდ; 4 - ხშირად; 5 - ძალიან ხშირად)






დიაგრამა 1.9

13. რამდენად გვხვდება სახელმძღვანელოებში რელიგიური შინაარსის თემები?( რიცხვებს აქვთ შემდეგი დატვირთვა: 1 - საერთოდ არ არის; 2 - მინიმალური რაოდენობით; 3 - საშუალოდ; 4 - ხშირად; 5 - ძალიან ხშირად)




დიაგრამა 1.10

14. გენდერული ბალანსი რამდენადაა სახელმძღვანელოებში?( რიცხვებს აქვთ შემდეგი დატვირთვა: 1 - საერთოდ არ არის; 2 - მინიმალური რაოდენობით; 3 - საშუალოდ; 4 - საკმაოდ; 5 - ძალიან კარგად)



დიაგრამა 1.11

15. ეთნიკური უმცირესობების სოციალურ მდგომარეობასთან რამდენადაა შესაბამისი სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სიტუაციები?(რიცხვებს აქვთ შემდეგი დატვირთვა: 1 - საერთოდ არ არის; 2 - მინიმალური რაოდენობით; 3 - საშუალოდ; 4 - ხშირად; 5 - ძალიან ხშირად)



დიაგრამა 1.12

16. როგორი თანმიმდევრობით დააჯგუფებდით ენის შესწავლისათვის ხელისშემშლელ ფაქტორებს?

ხმათა უმრავლესობით ასე გადანაწილდა:

- 1 - მასწავლებლის არაკვალიფიციურობა;
- 2 - სოციალური მდგომარეობა;
- 3 - გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;
- 4 - სახელმძღვანელო;
- 5 - პერსპექტივის უქონლობა;

6 - საზოგადოების დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობებისადმი.

17. თქვენ როგორც პედაგოგი, რა აქტივობებს, მეთოდებს იყენებთ მოსმენის უნარის განსავითარებლად?

პედაგოგების უმრავლესობამ დაწერა, რომ ავთენტურ ვიდეო და აუდიო მასალას იყენებენ ინტენსიურად.

18. რა აქტივობებს, მეთოდებს იყენებთ კითხვის უნარის განსავითარებლად?

მასწავლებლების უმრავლესობამ უპასუხა, რომ კლასგარეშე ადაპტირებულ საკითხავებს იყენებს.

19. რა აქტივობებს, მეთოდებს იყენებთ წერის უნარის განსავითარებლად?

პედაგოგებმა დაწერეს, რომ ხშირად აწერინებენ კარნახს, ბარათებს, წერილებს, ატარებენ კალიგრაფიის კონკურსს,

20. რა აქტივობებს, მეთოდებს იყენებთ ლაპარაკის უნარის განსავითარებლად?

ამ კითხვაზე მასწავლებელთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ როლურ, სიმულაციურ თამაშებს ატარებენ ხშირად.

21. რას ურჩევდით სახელმძღვანელოს ავტორებს სამომავლოდ?

„მეტი ავთენტური და ადაპტირებული ტექსტები, მეტი გრაფიკული მორგანიზებლები სქემები, მეტი ქვიზები, მეტი საკომუნიკაციო ლექსიკა...”

გაიზარდოს სახელმძღვანელოში ლაპარაკისა და მოსმენის უნარ-ჩვევის განმავითარებელი დავალებები”.

„მეტად გაითვალისწინონ იმ ეთნიკური უმცირესობების ენობრივი კომპეტენციაც, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და არა აქვთ ქართველებთან კომუნიკაციის საშუალება”.

„მე ვურჩევდი სახელმძღვანელოს ავტორებს რომ წიგნში უფრო მეტი ოყოს გრამატიკაც”.

„ტექსტები იყოს ავთენტური,მათ საჭიროებებზე მორგებული და ესგ-სთან შესაბამისი”.

„სახელმძღვანელოების შექმნაში თანაბარი პროპორციით მიიღონ მონაწილეობა ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა”.

„ვფიქრობ, უმჯობესი იქნება უფრო მეტად ყოფით სიტუაციებს გაესვას ხაზი და დაემატოს მეტი მოსმენის დავალება”.

„კარგი იქნება თემატურად უფრო უკეთესად იყოს დალაგებული სახელმძღვანელო. ზედა დონის ტექსტებში თემები მეორდება, მაგალითად, 5, 6 , 7 დონეში თითქმის ერთი ტიპის თემებია მოცემული. ზოგიერთი მოთხრობა შეუსაბამოა მოცემული დონეებისთვის”.

## დასკვნა

თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირება სოციუმში, რომლის შემაფერხებელიც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, სახელმწიფო ენის არცოდნაა, თუმცა ქართული ენის გასაძლიერებლად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ზოგადად საგანმანათლებლო დაწესებულებების განსავითარებლად, პედაგოგების პროფესიული წინსვლისათვის და ა.შ.

გამომდინარე იქიდან, რომ სწავლება-სწავლის პროცესის უმთავრესი კომპონენტი სახელმძღვანელოა და მასზე დიდწილადაა დამოკიდებული სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხი, გამოვთქვით ჰიპოთეზა, რომელიც დადასტურდა, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებში გამოკვეთილია სხვადასხვა ტიპის პრობლემა, რაც აფერხებს სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობას.

საბაზო საფეხურის საგნობრივ სტანდარტში გათვალისწინებული მიზნების, ამოცანების შესრულება მთლიანობაში შესაძლებელია. ეს ფაქტი დაადასტურა კვლევამაც. პედაგოგების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევების განვითარება სახელმძღვანელოზე დაყრნობით შესაძლებელია, თუმცა არასაკმარისი, რის გამოც მასწავლებლებს უწევთ დამატებით რესურსების მოძიება.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ენის ცოდნის დონე კვლავ დაბალია ეთნიკურად დასახლებულ რეგიონებში. ამას უამრავი ფაქტორი განაპირობებს, ერთ-ერთი, მართალია სახელმძღვანელოა, თუმცა არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუკი სხვა ყველაფერი მოწესრიგებული იქნება, როგორცაა მაღალკვალიფიციური პედაგოგი, სოციალური სიდუხჭირე, სკოლის ინფრასტრუქტურა, მაშინ ახლანდელი სახელმძღვანელო საკმაოდ შედეგიანი იქნება.

## რეკომენდაციები

ქართულის, როგორც მეორე ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოების ანალიზის შედეგად შეგვიძლია გარკვეული რეკომენდაციები ჩამოვყალიბოთ:

1. ინდივიდის იდენტობისა და აზროვნების ფორმირებაში ეთნიკური წარმომავლობა ყველაზე დიდ როლს თამაშობს. ამ მხრივ კი სახელმძღვანელოებში არსად არ არის ნახსენები ჩვენი ეთნიკური უმცირესობების შესახებ, ანუ ისინი თავიანთ თავს ვერ ხედავ ქართული ენის წიგნებში, რაც გაუცხოებას იწვევს. ვფიქრობ, ამ კუთხით სახელმძღვანელოებში ცვლილებებია შესატანი.
2. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ პერსონაჟთა სოციალური მდგომარეობა და მათი სოციალური სტატუსები არ არის თანხვედრაში სამიზნე ჯგუფთან. ამიტომ ვისურვებდით, რომ მოსწავლეებისათვის ნაცნობი ცხოვრებისეული ფრაგმენტებიც იყოს ჩართული სახელმძღვანელოში.
3. რელიგიური თემატიკა საერთოდ არ არის ნახსენები სახელმძღვანელოში, ვფიქრობ, ავტორებმა თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე საერთოდ აარიდეს თავი, თუმცა სასურველია ტერმინების დონეზე შევიტანოთ ზოგადი განათლებისათვის, ისევე როგორც არაერთი საინტერესო საკითხია შეტანილი. ამ მხრივ, საუკეთესო იქნებოდა თბილისის მრავალეთნიკურობასა და მასთან ერთად სხვადასხვა რელიგიის არსებობის შესახებ მოგვეთხრო.
4. მოსმენის დავალებების გამრავალფეროვნება მოსწავლეებს უკეთ განუვითარებს მოსმენის უნარს. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მოსმენის დავალებისათვის აუდიო დისკები ახლავს სახელმძღვანელოებს, თუმცა მისი მოსმენის საშუალება ყველა სკოლაში არ არის, ზოგან ელექტრონერგიის უქონლობის გამო, ზოგან მაგნეტოფონის და ა.შ. ამიტომ ძალიან ხშირად პედაგოგი მასწავლებლის წიგნიდან თავად უკითხვას იმ ტექსტს, რომელიც უნდა მოესმინათ შედეგი კი არ გვაქვს, რადგან მასწავლებლის მეტყველება, ინტონაცია მათთვის ისედაც ნაცნობია, აი, აუდიო მასალა კი მრავალფეროვნაი და მრავალხმიანია.

5. გამოკითხვის შედეგად პადაგოგებმა მწირი გრამატიკული მასალის შესახებ ისაუბრეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გრამატიკა დეტალურად არ განვიხილეთ, რადგან, მიგვაჩნია, რომ ეს ცალკე კვლევის საგანია, ნამდვილად დავეთანხმები ამ მასწავლებლების შენიშვნას და ვისურვებდი, უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს გრამატიკაზე.
6. არ შეგვიძლია არ გავამახვილოთ ყურადღება სახელმძღვანელოს ვიზუალზეც. წიგნის ფურცლები პრიალაა, სინათლე როცა ეცემა, პრიალებს და ამოკითხვა შეუძლებელია. პირადი გამოცდილებით ვიცი, ბავშვები ცდილობენ მოარიდონ სინათლეს ხან მაღლა სწევენ, ხან გვედით და ეს დიდ დისკომფორტს ქმნის.
7. ასევე სახელმძღვანელო და მისი რვეული ერთად დაახლოებით 300 გვერდამდე გამოდის. მოსწავლეებს მათი ტარება ყოველდღიურად უწევთ, ამასთანავე მათ აქვთ კიდევ 5-6 გაკვეთილი და საბოლოო ჯამში ძალიან უმძიმდებათ ჩანთები, რაც ცხადია, ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ეთნოსები საქართველოში“, თბილისი, 2008;
2. „ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი“, ბთკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობის პროგრამა, თბილისი, 2008;
3. გაბუნია კ., ეზუგბაია ლ., ქირია ჭ., ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, ქართველური ენები, თბილისი, 2010;
4. ეროვნული სასწავლო გეგმა: თავი III, თავი VII, თავი XVI, თბილისი, 2011;
5. ინტერკულტურული განათლების პრაქტიკული სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, 2010;
6. მულტილინგვური მასწავლებლის სტანდარტი;
7. ოძელი მ., შარაშენიძე ნ. „ევროპული ენობრივი პორტფოლიო მოზრდილთა და ზრდასრულთათვის 15-18“, მეოთხე წიგნი, თბილისი, „საიმედო“, 2011;
8. რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის, თბილისი, 2008;
9. რიაგენი, „ბილინგვური განათლება: ძირითადი სტრატეგიული ამოცანები“, თბილისი, „საიმედო“, 2008;
10. საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004 მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0> ;
11. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78> ;
12. საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლი, 2006, მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68> ;
13. ტაბატაძე შ., გაბუნია კ., ოძელი მ., რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით, თბილისი, 2008;
14. ტაბატაძე შ., გორგაძე ნ., ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე, თბილისი, 2013;
15. ქართული ენა 7, მელიქიძე მ., ცერაძე თ., 2012;
16. ქართული ენა 8, მელიქიძე მ., ცერაძე თ., 2012;



17. ქართული ენა 9, მელიქიძე მ., ცერაძე თ., 2012;
18. ქართული, როგორც მეორე ენა საბაზო საფეხურის სტანდარტი;
19. ქირია ჭ., ტექსტები დატესტური დავალებები ქართული ენის შემსწავლელთათვის, თბილისი, „მერიდიანი“, 2012;
20. „ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდის“, თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ელ.ვერსია <http://www.geofl.ge/#!/page-metodic> ;
21. ხარშილაძე მ., კერძაია თ., „სახელმწიფო ენა, მეორე ენა და მოტივაცია“, ჟურნალი ბილინგვური განათლება, #3, თბილისი, გამომც. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2010;
22. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989;
23. <http://police.ge> ;
24. <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia> ;
25. <http://mes.gov.ge/content.php?id=3923>
26. ფერგიუსონი, 1971 – Ferguson Ch. A., Language Structure and Language Use, Stanford, 1971.

დანართი # 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's Degree Program of Teacher Education

**Bardadze Mariami**

**Methodical analysis of the lower secondary education's text-books of  
Georgian as a secondary language**

The Thesis is submitted to earn the Academic degree of Master (MA) in Teacher  
Education

Thesis Supervisor: Kakha Gabunia,  
Associate Professor of Faculty of Humanities of  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD of philology

Tbilisi

2019